

მონაწილეობითი დემოკრატიის შედარებითი ანალიზი: მოქალაქეთა მონაწილეობა
ადმოსავლეთ პარტნიორობის (EAP) რეგიონში და საუკეთესო პრაქტიკა
ევროკავშირიდან

2024 წელი



Strengthening Civil Society in the Eastern Partnership

ეს პუბლიკაცია მომზადდა გერმანიის ფედერალური მთავრობისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით („აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“ პროგრამის ფარგლებში). მის შინაარსზე პასუხისმგებელია ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი (TDDF) და არ ასახავს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ან ევროკავშირის მთავრობის შეხედულებებს.

წინამდებარე კვლევა მომზადებულია ALDA-ს (ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის) ჯგუფის მიერ, გენერალური მდივნის ანტონელა ვალმორბიდის ხელმძღვანელობითა და ALDA გუნდის წევრების, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ექსპერტების, მათ შორის უკრაინიდან ხრისტინა კვარსიანას, მოლდოვიდან ვიორიკა ტუდოს, საქართველოდან ირაკლი ჯღარკავასა და საფრანგეთიდან ადრიან ლიჩას ხელშეწყობით. კვლევა მომზადებულია პროექტ „მეტი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება- ეფექტური თვითმმართველობისთვის“ ფარგლებში ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის (TDDF) დაკვეთით.

აღნიშნული პროექტი ხორციელდება ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსთან პარტნიორობით.



ამონარიდი

წინამდებარე კვლევა შეისწავლის ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხს. კვლევა მიზნად ისახავს მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმის გაანალიზებას, მოქალაქეთა ჩართულობაზე გავლენის მქონე ფაქტორების გააზრებას და ადგილობრივ დონეზე მონაწილეობის წარმატებული მექანიზმების განსაზღვრას. კვლევა წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მმართველობისა და მონაწილეობის მექანიზმების მრავალფეროვან სპექტრს და ხაზს უსვამს არსებულ გამოწვევებს, როგორებიცაა მოქალაქეების დაბალი ჩართულობა და მოძველებული სამართლებრივი ჩარჩო. აღმოსავლეთ პარტნიორობის ზოგიერთ ქვეყანაში ცენტრალიზებული კონტროლი კიდევ უფრო აფერხებს მონაწილეობით პრაქტიკას, პოლიტიკური ნების ნაკლებობა კი ზღუდავს ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიასა და რესურსებს მოქალაქეთა ჩართულობისთვის. ევროკავშირში არსებულ წარმატებულ მიდგომებზე დაყრდნობით, კვლევა განსაზღვრავს ძირითად სტრატეგიებს მოქალაქეთა მონაწილეობის გასაძლიერებლად. აღნიშნული სტრატეგიები მოიცავს ცნობიერების ამაღლების პროაქტიულ კამპანიებს, გაუმჯობესებულ საკომუნიკაციო არხებს და ძალისხმევას ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. საუკეთესო პრაქტიკად გვევლინება მონაწილეობითი ბიუჯეტირება, რომელიც ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, ამავდროულად კი ზრდის მოქალაქეების უფლებამოსილებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კვლევა ხაზს უსვამს უწყვეტი ინოვაციის, თანამშრომლობისა და ადაპტაციის მნიშვნელობას, როგორც გადამწყვეტი ელემენტებისა ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა ასპექტში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდასაჭერად.

სარჩევი

<i>შესავალი</i>	4
<i>მეთოდოლოგია</i>	6
<i>სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში</i>	7
საქართველო.....	7
სომხეთი	10
აზერბაიჯანი	15
მოლდოვა.....	18
უკრაინა	22
ბელორუსია	27
<i>მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები ევროკავშირში</i>	31
გერმანია.....	32
პოლონეთი	35
იტალია	37
ბელგია	39
საფრანგეთი.....	43
ესპანეთი	49
<i>დასკვნა</i>	52
<i>რეკომენდაციები</i>	54
<i>გამოყენებული ლიტერატურა:</i>	56

შესავალი

მონაწილეობა, თანამშრომლობა, საზოგადოებრივი ჩართულობა, აქტიური მოქალაქეობა და ინკლუზია არის ტერმინები, რომლებიც ხაზს უსვამს მოქალაქეთა ჩართვის აუცილებლობასა და მნიშვნელობას საჯარო პოლიტიკის განსაზღვრისა და მართვის პროცესში. ეს ტერმინები გაჩნდა და გავრცელდა საზოგადოებრივ დისკურსში ორი ათწლეულის წინ, რითაც ხაზი გაესვა სხვადასხვა დონეზე მოქალაქეთა ხმის გაძლიერების იდეას.¹

მონაწილეობითი დემოკრატია ხაზს უსვამს მოქალაქეთა ჩართულობის არსებით როლს, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ პრინციპზე დაფუძნებული დემოკრატიული სტრუქტურა უფრო სანდო და ეფექტური მმართველობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. სტანდარტული მიდგომისაგან განსხვავებით, რომელიც დემოკრატიულ მონაწილეობას უპირატესად საარჩევნო პროცესებთან აკავშირებს, განსაკუთრებით, დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიებში, ამ ტიპის სისტემაში მონაწილეობის ფორმების უფრო ფართო სპექტრი განიხილება. მონაწილეობითი დემოკრატია პრიორიტეტს ანიჭებს მოქალაქეთა ჩართულობას როგორც ფორმალურ აქტივობებში, როგორცაა კონსულტაციები, საკომიტეტო მოსმენები და მონაწილეობითი ბიუჯეტირების სესიები, ისე ნაკლებად ხილულ „პოლიტიკურ“ აქტივობებში, როგორცაა სპონტანური პროტესტი, მოხალისეობა ან სამუშაო ადგილზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა.²

მოქალაქეთათვის უფლებამოსილების მინიჭებით, გამჭვირვალობის ხელშეწყობით და გადაწყვეტილებების კოლექტიურ ნებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფით, მონაწილეობითი დემოკრატია დემოკრატიული მმართველობის ძირითად პრინციპებს განასახიერებს. ევროკავშირის (EU) საკანონმდებლო დებულებებში გაწერილია, რომ „თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კავშირის დემოკრატიულ ცხოვრებაში“.³ ეს ფუნდამენტური მუხლი აღიარებს მოქალაქეთა უფლებას ჩაერთონ ევროკავშირის საქმეებში და უფლებას ანიჭებს საზოგადოებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში. ის უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიიღებას არა იზოლირებულად, არამედ მოქალაქეების აქტიური ჩართულობით როგორც ევროკავშირის, ისე ეროვნულ დონეზე, რაც ხაზს უსვამს ევროკავშირის ერთგულებას ინკლუზიური მმართველობის მიმართ.

ევროკავშირის (EU) კანონმდებლობა, რომელიც 2000-იან წლებში იქნა დამტკიცებული, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საჯარო კონსულტაციების მნიშვნელობაზე ეფექტური მმართველობის ხელშეწყობის პროცესში, რომელიც, იდეალურ შემთხვევაში,

¹ რობერტა ბარტოლეტი, ფრანკა ფაჩიოლი, „საზოგადოებრივი ჩართულობა, ადგილობრივი პოლიტიკა და მოქალაქეთა მონაწილეობა: სამოქალაქო თანამშრომლობის იტალიური ქეისი“, 2016 წლის 14 სექტემბერი, ჟურნალი „Sage“, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

² როდ დაკომბი და ფილ პარვინი, „მონაწილეობითი დემოკრატია და წარმომადგენლობა უთანასწორობის ეპოქაში“, 2021 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

³ ევროკავშირის შესახებ შეთანხმების მუხლი 10 (3); ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

უნდა იყოს ეფექტიანი და გამჭვირვალე. ერთ-ერთი კონცეფცია, რომელიც რამდენიმე ადრეულ დოკუმენტში გვხვდება, არის ელექტრონული დემოკრატია - მრავალმხრივი კონცეფცია, რომელიც აერთიანებს სოციალურ ინკლუზიას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მონაწილეობას საჯარო სფეროში (მათ შორის, ჩართვას აზრის ფორმირებაში და სოციალურ, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ აქტორებს შორის ღია დიალოგში), მონაწილეობას არჩევნებში, ჩართულობას კანდიდატა სიების ფორმირებაში, მოქალაქეთა პირდაპირ ინიციატივებს (როგორცაა რეფერენდუმი ან სახალხო ინიციატივები), რომელსაც მხარს უჭერენ განსაზღვრული სამართლებრივი ინსტიტუტები, ასევე ჩართულობის სპონტანურ ფორმებს პეტიციების, მიმართვების, არაფორმალური ჯგუფებისა და ასოციაციების სახით. მთავარი ამოცანაა მოქალაქეთა უნდობლობის შემცირება ევროკავშირის ინსტიტუტების მიმართ და ამომრჩეველთა აქტივობის გაზრდა ევროპის არჩევნებში.⁴

დემოკრატიის მხრივ არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, ევროკავშირმა შეიმუშავა რიგი მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს მოქალაქეთა ხმის გაძლიერებას და აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობას. მაგალითად, *ევროპის მოქალაქეთა ინიციატივა* (ECI) საშუალებას აძლევს მოქალაქეებს წარმოადგინონ კანონმდებლობასთან დაკავშირებული წინადადებები, თუკი ერთი წლის განმავლობაში მინიმუმ შვიდი წევრი ქვეყნიდან ერთი მილიონი ხელმოწერის შეგროვებას შეძლებენ. ევროკომისია ატარებს *საჯარო კონსულტაციებს* მოქალაქეებისა და დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული პოლიტიკის წინადადებების განსახილველად. *პირდაპირი არჩევნების* გზით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები ირჩევენ წარმომადგენლებს ევროპარლამენტში, რაც უზრუნველყოფს ევროკავშირის საკანონმდებლო პროცესებში მათი ხმის წარმოჩენას. ევროკავშირი მართავს *სამოქალაქო დიალოგებსა და დებატებს*, რაც წარმოადგენს პლატფორმას მოქალაქეებისთვის ჩაერთონ პოლიტიკის შემქმნელებთან, გააზიარონ თავიანთი მოსაზრება და განიხილონ ევროკავშირის ინიციატივები. გარდა ამისა, ევროკავშირს აქვს *ონლაინ პლატფორმები და ფორუმები*, რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქეთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, დისკუსიების გამართვას და უკუკავშირის მიღებას ევროკავშირის პოლიტიკასა და ინიციატივებზე. აღნიშნული მექანიზმები შექმნილია იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეთა ინტენსიურ ჩართულობას ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁵

ბოლო წლების განმავლობაში, მთელ ევროპაში, მათ შორის ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ფართოდ გავრცელდა მოქალაქეთა კრებები, ჟიური, პანელები და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები. აღნიშნული ინიციატივები ძირითადად მოქმედებს ადგილობრივ დონეზე, მხოლოდ რამდენიმე მათგანი ვრცელდება ეროვნულ ან

⁴ რობერტა ბარტოლეტი, ფრანკა ფაჩიოლი, „საზოგადოებრივი ჩართულობა, ადგილობრივი პოლიტიკა და მოქალაქეთა მონაწილეობა: სამოქალაქო თანამშრომლობის იტალიური ქეისი“, 2016 წლის 14 სექტემბერი, ჟურნალი “Sage”, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁵ “*მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება ევროკავშირში*“, 2020 წლის თებერვალი, ევროპული მოძრაობა, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

ტრანსნაციონალურ დონეზე⁶. მათი ინიცირება, როგორც წესი, ხდება ხელისუფლების მიერ, თუმცა ზოგიერთი მომდინარეობს სამოქალაქო ჯგუფებიდან. ჩართულობის გაზრდის დადებითი ასპექტის მიუხედავად, გავრცელებულია მოსაზრება, რომ ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ღრმად ინტეგრირებული პოლიტიკურ პროცესებში, რათა არსებითად გაზარდოს დემოკრატიის საერთო ხარისხი.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მხრივ არსებული სურათი როგორც ევროკავშირის, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. იგი შეისწავლის მოქალაქეთა პასიური და აქტიური ჩართულობის მიზეზებს და ადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს ადგილობრივ დონეზე მონაწილეობის გარკვეული ფორმების ნაკლებ მიმზიდველობას. გარდა ამისა, იგი მიზნად ისახავს გამოავლინოს ევროკავშირის კონტექსტიდან საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც შეიძლება ადაპტირდეს და დაინერგოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დემოკრატიული ჩართულობის გასამდიერებლად.

ზოგიერთ ქვეყანაზე, რომელიც ამ კვლევის ფარგლებში გაანალიზდა, ღრმა გავლენას ახდენს მათი დემოკრატიული განვითარების ტრაექტორია. მაგალითად, უკრაინას უწევს შეეწინააღმდეგოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან წამოსულ აგრესიას, ხოლო ბელორუსიაში შეზღუდული არის დემოკრატიული შესაძლებლობები და პოლიტიკური წარმომადგენლობა. აზერბაიჯანს ასევე უწევს სამოქალაქო ჩართულობის მხრივ არსებულ შეზღუდვებთან გამკლავება.

მეთოდოლოგია

წინამდებარე შედარებით კვლევაში გამოყენებულია მეთოდოლოგია, რომელიც დეტალური ანალიზის ჩასატარებლად, მოიცავს ყოვლისმომცველ პირველად და მეორად სამაგიდო კვლევას. პირველადი კვლევა გულისხმობს საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა სამართლებრივი დებულებების გულდასმით შესწავლას. აღნიშნული მოიცავს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) რეგიონისა და ევროკავშირის ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაზიარებული უახლესი კვლევების, მოხსენებებისა და ოფიციალური დოკუმენტების ანალიზს.

გარდა სამაგიდო კვლევისა, ასევე გამოყენებულია თვისებრივი კვლევა, რაც გულისხმობს ინტერვიუებს შესაბამისი მიმართულების ექსპერტებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ინტერვიუები ჩატარდა დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრესთან და მოიცვა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონი და ევროკავშირის

⁶ რიჩარდ იანგსი, „სამოქალაქო მონაწილეობასა და მეინსტრიმ პოლიტიკას შორის სიცარიელის აღმოფხვრა“, 2022 წლის 8 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

შერჩეული ქვეყნები, კერძოდ გერმანია, პოლონეთი, იტალია, ბელგია, საფრანგეთი და ესპანეთი.

კვლევა ასევე ეფუძნება ALDA-ს (ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის) და მისი წევრების მდიდარ გამოცდილებას როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის, ასევე ევროკავშირის ქვეყნების საკითხებში.

სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში

ინიციატივის 2009 წელს ამოქმედების შემდეგ, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) რეგიონმა, რომელიც მოიცავს ექვს ქვეყანას - სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელორუსიას, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას - მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დემოკრატიული ჩართულობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის საქმეში⁷. ვინაიდან ევროკავშირი ცდილობს გააძლიეროს მისი კავშირები ამ მეზობელ სახელმწიფოებთან, მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანი საყრდენი ხდება. ამ კონტექსტში, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონი დგას როგორც შესაძლებლობების, ისე გამოწვევების წინაშე დემოკრატიული პრაქტიკის ხელშეწყობის, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებისა და გამჭვირვალე მმართველობის მხარდაჭერის კუთხით. აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ ქვეყანაში შეიმჩნევა განსხვავებები მონაწილეობითი დემოკრატიის ხარისხისა და მისი სამუშაო მექანიზმების მხრივ. მაშინ, როცა ზოგ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და გამჭვირვალე მექანიზმები გარკვეული დოზით შეინიშნება, სხვები მონაწილეობის ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიმართულებით გამოწვევების წინაშე დგანან.

საქართველო

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული მმართველობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს სწრაფვამ დემოკრატიზაციისა და ევროინტეგრაციისკენ გაამძაფრა მოწოდებები პოლიტიკის შემუშავებაში საზოგადოების მეტი ჩართულობის შესახებ. 2015 წლის ივლისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებების პაკეტი, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს. აღნიშნული ფორმები მოიცავს შემდეგს: ა) დასახლების საერთო კრება („საერთო კრება“), ბ) პეტიცია, გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა და ე) მერისა და საკრებულოს მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ

⁷ EUR-Lex, “აღმოსავლეთ პარტნიორობა,” ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

ანგარიშების წარმოდგენა. უფრო მეტიც, მუნიციპალური მაღალჩინოსნები ვალდებული არიან რეგულარულად ჩაატარონ ღია შეხვედრები მოქალაქეებთან (საქართველოს 2015 წლის 22 ივლისის ორგანული კანონი No4087). აღსანიშნავია, რომ ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მუნიციპალიტეტებს აქვთ უფლება განსაზღვრონ ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმები, რომლებიც იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი. ამგვარი მოქნილობა სცდება ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის კოდექსით განსაზღვრულ ფარგლებს.⁸

მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობის პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეების მიღების, შეხვედრებისა და მუნიციპალური ორგანოების ფუნქციონირებისთვის. ეს მოიცავს მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, კოლეგიური სახელმწიფო ორგანოების შეხვედრების დროსაც კი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონაწილეობით მექანიზმებზე ფოკუსირება გამოხატავს ქვეყნის ერთგულებას ადგილობრივ მმართველობაში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და სამოქალაქო ჩართულობისადმი, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა დაბალი მონაწილეობა ქვეყნის დეცენტრალიზაციის დღის წესრიგში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. გარდა ამისა, ამ მექანიზმებს შორის, სათათბირო ინსტრუმენტად მხოლოდ ერთი გვევლინება: დასახლების საერთო კრება (GAofS). ამის საპირისპიროდ, დანარჩენ მექანიზმებს მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია აქვთ. სათათბირო ჩართულობა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს მოახდინონ პირდაპირი გავლენა გადაწყვეტილებებზე, განსხვავებით საკონსულტაციო მექანიზმებისგან, სადაც მთავრობა იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ.⁹

ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების ნაკლებობა, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების სუსტი ანგარიშვალდებულება სახელდება მთავარ მიზეზებად, თუ რატომ რჩება საქართველოში ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა დაბალი. „ადგილობრივი ხელისუფლება არ თვლის თავს ვალდებულებად რეგულარულად გამოიყენოს მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული ფორმები. ისინი, უმეტეს შემთხვევაში, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას თანამოქალაქეებთან შეხვედრების ორგანიზებაზე“, - აღნიშნავს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი ექსპერტი.¹⁰ გარდა ამისა, მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული ფორმების საკონსულტაციო ხასიათის გამო, გადაწყვეტილების მიმღები პირები ხშირად პრაქტიკაში არ ნერგავენ მოქალაქეთა რეკომენდაციებსა და

⁸ საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁹ თენგიზ სულთანოვილი, ელენე ფანჩულიძე, „სათათბირო დემოკრატიის ნაკლოვანებები სოფლად საქართველოში: მესტიის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ანალიზი, 2020 წელი თბილისი“, 2020 წელი, PMC კვლევითი ცენტრი, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

¹⁰ ინტერვიუ ნათია აფხაზავასთან, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2 თებერვალი, 2024 წ.

იდებებს, რაც აფერხებს მოქალაქეთა ჩართულობას. გარდა ამისა, საბიუჯეტო თანხების ნაკლებობა, რომლებიც საჭიროა მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ემატება იმ მიზეზებს, რომელთა გამოც მუნიციპალიტეტები თავს იკავებენ მოქალაქეთა ჩართვისგან.

მაგალითად, საქართველოს იმერეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტიდან, საიდანაც გამოთხოვილ იქნა ოფიციალური ინფორმაცია 2022-2023 წლებისთვის, 5 მუნიციპალიტეტში პეტიცია არ დარეგისტრირებულა, არცერთ მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა საერთო კრება, ხოლო 7 მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სულ რამდენიმე სხდომა გაიმართა (ვანი, ბაღდათი, ტყიბული, თერჯოლა, წყალტუბო, ხარაგაული, ხონი). 2024 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინიციატივების განხილვა მხოლოდ 2 მუნიციპალიტეტში (ხონი, წყალტუბო) ხდება. ამასთან, 2 მუნიციპალიტეტში გამოიყენება მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმები. მათ შორისაა წყალტუბოში *მოქალაქეთა უკუკავშირის ონლაინ პლატფორმა*, ხოლო ხონში შემდეგი ოთხი ინიციატივა: *შშმ პირთა საბჭო*, *გენდერული თანასწორობის საბჭო*, *პრიორიტეტული დოკუმენტის შემუშავება* და *ელექტრონული პეტიცია*.

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმი „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ (ფართოდ მოხსენიებული, როგორც უტრეხტის ოქმი). აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია მიზნად ისახავდა ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის სამართლებრივი გარანტიების გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ რატიფიცირების მიუხედავად, არ განხორციელებულა საქართველოს საკანონმდებლო აქტების შემდგომი გადახედვა მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების გასაუმჯობესებლად.¹¹

უფრო მეტიც, იმავე წელს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგია 2020-2025 წლებისთვის, რითაც თვითმმართველობის რეფორმის ფაზის დასაწყისი აღინიშნა. სტრატეგია ფოკუსირებული იყო სამ ძირითად მიმართულებაზე: თვითმმართველი ერთეულის როლის გაძლიერება საჯარო საქმეებში, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ადეკვატური მატერიალური და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა და სანდო, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება. 2020-2025 წლების სტრატეგიისა და 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისას გადაიდა გარკვეული ნაბიჯები, მათ შორის, მოხდა მოქმედი კანონმდებლობის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ შესაბამისობაში მოყვანა, თვითმმართველობებს მიენიჭათ დამატებითი კომპეტენციები (როგორცაა ზედამხედველობა ბავშვებისთვის გარკვეული პროდუქტების მიწოდების

¹¹ „საქართველომ რატიფიცირება გაუკეთა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის დამატებით ოქმს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“, 2019 წელი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

აკრძალვაზე), ინიცირებულ იქნა თვითმმართველობის ფინანსებისა და მოქალაქეთა მონაწილეობის ანალიზი.¹²

თუმცა, სტრატეგიის შეზღუდვა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ მოიცავს დეცენტრალიზაციის ყველა ასპექტს, რაც საჭიროებს პოლიტიკურ ნებას ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან. კონკრეტული მიმართულებებით წარმატებული შემთხვევების მიუხედავად, დეცენტრალიზაციისადმი გავრცელებული ნეგატიური დამოკიდებულება აფერხებს თანამედროვე ტიპის თვითმმართველობის ჩამოყალიბებას საქართველოში. ზოგადად, საზოგადოება განიხილავს თვითმმართველობას, როგორც უფრო დაბალპრიორიტეტულ საკითხს უმუშევრობასთან, შემოსავალთან და გეოპოლიტიკურ პრობლემებთან შედარებით. თვითმმართველობის როლის შესახებ ცნობიერება დაბალია, განსაკუთრებით პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტაში. საკანონმდებლო მექანიზმები, რომლებიც მიმართულია მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაზე, ნაკლებად ეფექტურია არათუ თანმდევი ხარვეზების, არამედ იმ განწყობის გამო, რომ ნაკლებად მოსალოდნელია ხელშესახები შედეგის მიღება.

სომხეთი

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბება სომხეთში 1995 წლიდან დაიწყო ქვეყნის პირველი კონსტიტუციის მიღებით, რომელშიც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები რეგიონებად (marzes) და თემებად/მუნიციპალიტეტებად იყო დაყოფილი და სასოფლო და ურბანულ მუნიციპალიტეტებად დაჯგუფებული (სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1995 წ., მუხლები 104-105). იმავე წელს ამოქმედდა კანონი სომხეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ (1995, მუხლი 2), რომლის მიხედვითაც სომხეთი ათ რეგიონად და 915 თემად/მუნიციპალიტეტად დაიყო.¹³

სომხეთი პოლიტიკური დეცენტრალიზაციის გზას 1996 წელს დაადგა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის მიღებით, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ანიჭებდა უფლებამოსილებას მოეგვარებინა მუნიციპალური საკითხები და ხაზს უსვამდა სახელმწიფოს დემოკრატიულობას მუნიციპალიტეტების არსებობის გზით. შემდგომში, 2002 წელს, სომხეთმა მოახდინა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირება, რითაც დაადასტურა ერთგულება ადგილობრივი დემოკრატიისა და მოქალაქეთა ჩართულობის მიმართ, ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.¹⁴

¹² “დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025,” საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

¹³ სომხეთის რესპუბლიკის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

¹⁴ “ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის აღსრულების მონიტორინგი სომხეთში”, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი, 2020 წლის 12 თებერვალი, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე

იმავედროულად, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესმა (CoE, 2014) ხაზი გაუსვა სომხეთში ადგილობრივი დემოკრატიის მხრივ არსებულ გამოწვევებს, მათ შორის შეზღუდულ ჩართულობას, ადგილობრივი ხელისუფლების არასაკმარის შესაძლებლობებსა და რესურსებს, მცირე და მყიფე მუნიციპალიტეტების არსებობას¹⁵. ამის საპასუხოდ, სომხეთის მთავრობამ 2014 წელს სომხეთის ტერიტორიული და ადმინისტრაციული რეფორმა (TARA) წამოიწყო, ტერიტორიული ადმინისტრაციისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (MTAI) ხელმძღვანელობით. რეფორმა მიზნად ისახავდა ფუნქციური და მოქნილი ადგილობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას საშუალებას მისცემდა ეფექტურად მომსახურებოდა თავის თემებს. თავდაპირველად, ფოკუსი გაკეთდა მუნიციპალიტეტების გაფართოებასა და რესტრუქტურისაციაზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა დეცენტრალიზაციის შემდგომ ძალისხმევას.¹⁶

თემების გაერთიანების პროცესი 2015 წელს დაიწყო, როცა ადგილობრივი რეფერენდუმის ჩატარების შედეგად, მანამდე არსებული 22 თემი სამ საპილოტე მუნიციპალიტეტად გაერთიანდა. თუმცა, 2015 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, ადგილობრივი მმართველობის რეფორმებისა და თემების გაერთიანებისას, აღარ მომხდარა რეფერენდუმის გამოყენება. მეორე ეტაპი 2016 წელს დაიწყო, როცა 118 ყოფილი მუნიციპალიტეტი 15 მუნიციპალიტეტად გაერთიანდა, მესამე ეტაპი კი 2017 წელს განხორციელდა, რის შედეგადაც მანამდე არსებული 325-ის ნაცვლად, 34 ახალი თემი შეიქმნა. გაფართოების პროცესი დროებით 2018 წელს შეჩერდა, თუმცა 2020 წლიდან ისევ განახლდა. შემდგომი ეტაპები 2021 და 2022 წლებში განხორციელდა. გაფართოების საბოლოო რაუნდი 2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის მარტამდე მიმდინარეობდა, რის შედეგადაც სომხეთის მუნიციპალიტეტების საერთო რაოდენობა 71-ით განისაზღვრა, მათ შორის 64 მუნიციპალიტეტი მიღებული გაფართოების შედეგად. დანარჩენი 7 თემი არის ერევანი და გიუმრი, ორი უდიდესი ქალაქი და 5 მცირე მუნიციპალიტეტი, დასახლებული ეთნიკური უმცირესობებით, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი რეფორმის პროცესში.¹⁷

სომხეთში მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესების მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენს სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ექვემდებარება მუდმივ ცვლილებებს მუნიციპალიტეტების გაერთიანებისა და ტერიტორიული დაყოფის პროცესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სომხეთის კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-3 ნაწილი უფლებას ანიჭებს 18 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეებს აირჩიონ და თავად იქნას არჩეულნი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა და ადგილობრივი რეფერენდუმის დროს. აღსანიშნავია, რომ კანონის თანახმად, პირებს, რომლებიც არ არიან

¹⁵ სომხეთი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

¹⁶ ვაჩე ტერტერიანი, „ტერიტორიული და ადმინისტრაციული რეფორმა სომხეთში (2015-2018): პროცესი, შუალედური შედეგები და პერსპექტივები“, სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მართვისა და განვითარების სამინისტრო, 2017 წლის 5 მაისი, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

¹⁷ ასტგიკ მნაცკანიანი, ფლავიენ ფელდერი და სოერენ კეილი, „დეცენტრალიზაცია სომხეთში: ადგილობრივი მმართველობის რეფორმა და ფუნქციური დეცენტრალიზაციის საჭიროება,“ 2023 წ., ფედერალიზმის 50 ელფერი, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

სომხეთის მოქალაქეები, ასევე აქვთ ხმის უფლება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისა და ადგილობრივი რეფერენდუმის დროს.

183-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად, თემის მაცხოვრებლები უშუალოდ უნდა იქნან ჩართულნი სათემო საკითხების მართვაში ადგილობრივი რეფერენდუმების მეშვეობით. რეფერენდუმის კონკრეტული ფორმები და პირდაპირი მონაწილეობის სხვა მექანიზმები განსაზღვრულია კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. კანონის მე-8 მუხლი, რომელიც მოიცავს 14 პრინციპს, ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას, საჯაროობას და მოქალაქეთა მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ 5-წლიანი განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავებისა და განხილვის პროცესში მოქალაქეების მონაწილეობა და ჩართულობა არსებითად არის მიჩნეული.¹⁸

გარდა ამისა, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი მთლიანად ეძღვნება ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობას. იგი განსაზღვრავს საზოგადოების მონაწილეობას, როგორც პროცესს, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები, დისკრიმინაციის გარეშე, იღებენ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების შესახებ და ახდენენ პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებზე. გარდა ამისა, 16 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეებს აქვთ ხმის მიცემის უფლება; მონაწილეობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ასევე საზოგადოებრივი ერთეულებისა და სამოქალაქო ინიციატივების მეშვეობით. 3000 ან მეტი მოსახლეობის მქონე თემებს უფლება აქვთ ჰქონდეთ ოფიციალური ვებგვერდი, რომელსაც მართავს სათემო ლიდერი.¹⁹

მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმის განვითარების მიუხედავად, სომხეთის თემებში არჩევნები მოქალაქეთა ჩართულობის უპირველეს ფორმად რჩება. გაერთიანების შემდეგ, თითქმის ყველა თემს ახლა ჰყავს 4000-ზე მეტი ამომრჩეველი, რაც მოითხოვს პროპორციული ხმის მიცემის სისტემის გამოყენებას საკრებულოს წევრების არჩევისთვის. თუმცა, საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს პროპორციული არჩევნების სისტემას, ვერ უზრუნველყოფს ხმის მიცემის უფლების არადისკრიმინაციულ განხორციელებას, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ მოქალაქეთა ინიციატივით კანდიდატურის წამოყენების უფლებას. შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობა დამოკიდებულია პოლიტიკურ პარტიასთან კუთვნილებაზე.²⁰

მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები შემდეგია:²¹

¹⁸ ინტერვიუ ლუსინ ალექსანდრიანთან, სომხეთის ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო, 21 თებერვალი, 2024წ.

¹⁹ *ოგვე*

²⁰ *ოგვე*

²¹ *ოგვე*

თემის განვითარების გეგმები და საბიუჯეტო პროცესები - სომხეთის ადგილობრივი მმართველობის სისტემის ფარგლებში, თემის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარება არ არის კანონით სავალდებულო და არც ფართოდ გამოიყენება. თუმცა, კანონის მიხედვით, ყველა მუნიციპალიტეტისთვის სავალდებულოა თემის განვითარების ხუთწლიანი გეგმის (FYCDPs) შემუშავება. 2021 წლიდან 2023 წლამდე არ მომხდარა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები მუნიციპალურ FYCDP-ებთან და ბიუჯეტების პროცესებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა FYCDP-ის და ბიუჯეტების ხარისხი, განსაკუთრებით, ახლად ჩამოყალიბებულ მრავალდასახლებიან თემებში, აღნიშნული არ არის საკმარისი ამ თემების საერთო განვითარების უზრუნველსაყოფად და წარმოშობს ახალ გამოწვევებს, განსაკუთრებით მცირე, სასაზღვრო უბნებში, გარეუბნებში და სხვა სპეციალურ დასახლებებში.

საჯარო მოსმენები და შეხვედრები მოქალაქეებთან - ხუთწლიანი განვითარების გეგმებისა და წლიური ბიუჯეტის საჯარო განხილვები, უპირველესად, ურბანულ თემებში, ტარდება კანონით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით, მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ხარისხით. ქალაქებში, როგორცაა გიუმრი, ერევანი და ვანაძორი, საჯარო განხილვები ეხება უფრო ფართო საზოგადოებრივ საკითხებს და მასში აქტიურად არიან ჩართულნი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. მოქალაქეებთან შეხვედრები, ორგანიზებული სათემო ლიდერების მიერ, ტარდება ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად.

როგორც კანონით არის განსაზღვრული, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ თემის ლიდერმა 5 თვის ვადაში უნდა გამართოს საჯარო მოსმენები თემის მთავარ დოკუმენტზე: ხუთწლიანი განვითარების გეგმაზე. მოსმენების შედეგად მიღებული ყველა რეკომენდაციისა და წინადადების გათვალისწინების შემდეგ, ლიდერმა იგი დასამტკიცებლად უნდა წარადგინოს საკრებულოს სხდომაზე. თუმცა, ძალიან ხშირად, გეგმები მტკიცდება საკრებულოს სხდომაზე წინასწარი მოსმენების გარეშე. ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში შეტანილი ახალი ცვლილებების ფონზე, რომლებიც ეხება საარჩევნო სისტემასა და თემების გაერთიანებას, ამ პროცესის კონტროლის კონკრეტული მექანიზმები ჯერ კიდევ არ არსებობს,

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონით მოითხოვება ყოვლისმომცველი ინფორმაციის გავრცელება კომუნიკაციის შესაძლო საშუალებებით, ინფორმაციის გაზიარება და საზოგადოების ინფორმირება მომავალი მოსმენებისა და შეხვედრების შესახებ სათანადოდ არ სრულდება თემების მიერ.

ყოველწლიური ბიუჯეტის შემუშავების ვალდებულება გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონით, რომლის მიხედვით ბიუჯეტის სამუშაო ვერსიის შედგენასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელია მუდმივმოქმედი კომიტეტები. მიუხედავად ამისა, კომიტეტების პასუხისმგებლობას ზოგჯერ ფორმალური ხასიათი აქვს. ბიუჯეტს საკრებულო ადასტურებს, მხოლოდ საჯარო განხილვის შემდეგ.

თუმცა, ზოგჯერ ბიუჯეტის პროექტის განხილვა და საჯარო მოსმენა არ ტარდება და ბიუჯეტი მტკიცდება საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

გადაწყვეტილების მიღება თემებში - 2021 წლიდან 2023 წლამდე, სომხეთის არცერთ თემში ადგილობრივი რეფერენდუმი არ ჩატარებულა. 2021 წლის 17 ნოემბერს მიღებული კანონი ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის დროს სათემო საბჭოების დისტანციურად შეხვედრის შესაძლებლობას, დახურული სესიები ან დისკუსიები არ შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად. გარდა ამისა, 2021 წელს სომხეთის მთავრობამ გამოსცა დადგენილება N 1297-N ელექტრონული რეესტრებისა და პეტიციების მართვასთან დაკავშირებით. აზოვიანის თემის ხელმძღვანელისადმი წარდგენილ პეტიციაში შეთავაზებული იყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ჩარიცხვის განხორციელება ექსკლუზიურად ონლაინ რეჟიმში.

ამჟამად ტერიტორიული ადმინისტრაციისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ამზადებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის ახალ რედაქციას, რომელშიც შეტანილი იქნება ცვლილებები მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებულ მუხლებში და ასახული იქნება თემების მიმდინარე გაერთიანების პროცესი.

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის²² ბოლო დროს ჩატარებული შეფასება მიუთითებს, რომ მთავრობამ წარმატებით დანერგა ახალი არხები მოქალაქეებისგან უკუკავშირის მისაღებად და მონაწილეობის ხელშესაწყობად. გარდა ამისა, გაუმჯობესდა მოქალაქეთა მიერ უკუკავშირის მიწოდების არსებული პლატფორმები და შესამჩნევად გაძლიერდა მთავრობის შესაძლებლობები, რომლებიც მიმართულია მოქალაქეთა ჩართულობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გაძლიერებისკენ. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა. მუნიციპალიტეტის ძალისხმევამ, გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა არხებით, ჩართოს მოქალაქეები დისკუსიებსა და საჯარო მოსმენებში და უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა, განაპირობა საგრძნობი სვლა უფრო ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის მექანიზმებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა შეიძლება მცირე იყო, ამ შეკრებებმა ხელი შეუწყო აქტიური დიალოგის კულტურის ჩამოყალიბებას სამოქალაქო საზოგადოებას, თემებსა და მუნიციპალიტეტს შორის. მოქალაქეებისა და სსო-ების მონაწილეობის მექანიზმების სწრაფი განვითარება იმედისმომცემ პროგრესად განიხილება.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ დასწრების მაჩვენებელი შესაძლოა არ იყო მაღალი, ჩატარდა უამრავი შეხვედრა და დისკუსია, მათ შორის ონლაინ სესიები, სადაც მოქალაქეებს და სსო-ებს ჰქონდათ მონაწილეობის შესაძლებლობა. გარდა ამისა,

²² ანაკიტ ღარიბიანი, “ანგარიში ვალდებულებების შესახებ - ღია, გამჭვირვალე და მონაწილეობითი საჯარო დისკუსიების ორგანიზება და განხორციელება“, ღია მმართველობის პარტნიორობა, 2024 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).

მუნიციპალიტეტის მიერ ინსტაგრამისა და ფეისბუქის გვერდების შექმნამ ხელი შეუწყო საზოგადოებისთვის ინფორმაციის სწრაფ მიწოდებას, რითაც მუნიციპალიტეტის მიდგომა მოქალაქეებზე უფრო ორიენტირებული და ინტერაქციული გახდა.

თუმცა, ზოგიერთ სსო-სა და ექსპერტს აქვს პესიმისტური შეხედულება, ისინი თვლიან, რომ მართალია, ეს ძალისხმევა წარმოადგენს ნაბიჯებს ღია მმართველობის გაძლიერებისკენ, იგი მყისიერად არ მოიტანს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და ჩართულობას. მონაწილეობის კუთხით არსებული პროგრესის მიუხედავად, ექსპერტების თანახმად, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ბაზა, რომელიც ძირითადად 1995 წლის კონსტიტუციას და შემდგომი პერიოდის კანონებს ეფუძნება, ხაზს უსვამს სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების საკითხს. კონსტიტუცია ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის სტანდარტებს, ხოლო კანონები, როგორცაა „მუნიციპალიტეტების შესახებ“ კანონი არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მოწყობასა და ფუნქციონირებას. 1999 წლის 2 ივლისს მიღებული კანონი „მუნიციპალური არჩევნების შესახებ“, ასევე კანონი „მუნიციპალიტეტების სტატუსის შესახებ“ წარმოადგენს ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებით მიღებულ პირველ კანონებს. ისინი მოიცავს მუნიციპალურ ორგანოებსა და თანამდებობის პირებთან, მოქალაქეთა მონაწილეობასთან, ეკონომიკურ ასპექტებთან, მუნიციპალურ ქონებასა და ადგილობრივ ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებს.²³

ქვეყნის მართვა ხორციელდება ორ დონიანი სისტემის საშუალებით, სადაც მაღლა დგას აღმასრულებელი ხელისუფლება, პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრთა კაბინეტს და სხვა მაღალჩინოსნებს. ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია, მოქმედებენ 1999 წელს მიღებული ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების (LEA) შესახებ დებულებით დადგენილი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით. 2012 წელს ახალმა რეგულაციამ ამ ორგანოებს დამატებითი უფლებამოსილება მიანიჭა, რამაც გააძლიერა მათი ფუნქცია ადგილობრივ საკითხებში. პრეზიდენტი აყალიბებს სახელმწიფო მართვის ტერიტორიულ ერთეულებს და ნიშნავს მათ ხელმძღვანელებს. ეს ხელმძღვანელები, თავის მხრივ, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში არსებულ სოფლებსა და დასახლებებში ნიშნავენ ადგილობრივ ადმინისტრაციებს. ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციის

²³ ხაიამ ჯ. ისმაილოვი, „ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირება და ევოლუცია აზერბაიჯანში და თანამედროვე ადგილობრივი თვითმმართველობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (სამართლებრივი რეგულირების საკითხები)“, ტომი 21, გამოცემა 3, 2018, ჟურნალი იურიდიული, ეთიკური და სარეგულაციო საკითხების შესახებ, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

უპირველესი პასუხისმგებლობაა მოვალეობების შესრულება, მოქალაქეთა უფლებების დაცვა, ტერიტორიული განვითარების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტებთან და სახელმწიფო ადმინისტრაციის ტერიტორიულ ერთეულებთან საქმიანობის კოორდინაცია. ადგილობრივ დონეზე მინიჭებული უფლებამოსილების მიუხედავად, ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას არ აქვს დამოუკიდებლობა და მხოლოდ ახორციელებს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებებს.

ამასთან, აზერბაიჯანი, რომელმაც 2002 წელს მოახდინა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირება, ვალდებულია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების ავტონომია და ექსკლუზიური უფლებამოსილება²⁴. თუმცა, ეს მოთხოვნა არ არის ასახული „მუნიციპალიტეტების შესახებ“ კანონში. გარდა ამისა, კონსტიტუციის 124-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკის განხორციელებაზე, ხოლო პრეზიდენტს აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციის ფარგლები. შესაბამისად, მუნიციპალური უფლებამოსილების განსაზღვრა ხდება პრეზიდენტის მიერ, საკუთარი დისკრეციით.

„მუნიციპალიტეტების სტატუსის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტებს აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, მათ შორის რეფერენდუმის გზით. თუმცა, მათი უფლებამოსილება საჯარო საკითხებში შეზღუდულია, სერვისების უმეტესობა სახელმწიფო ორგანოების უშუალო პასუხისმგებლობაშია. მიუხედავად 24 წლიანი დამოუკიდებლობისა, საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით არსებითი რეფორმები არ განხორციელებულა. არც მუნიციპალიტეტს და არც ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნია გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებლობა. ფინანსური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული შეზღუდვების გამო, მუნიციპალიტეტებს არ შეუძლიათ ეფექტურად ადგილობრივი საკითხების მოგვარება, ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა გაიაროს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონსულტაცია.²⁵

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი „საზოგადოების მონაწილეობის შესახებ“ და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები ადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩარჩოს. კანონი განსაზღვრავს საზოგადოების მონაწილეობის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის **საჯარო საბჭოებს, დისკუსიებს, მოსმენებს, მოსაზრებების შესწავლას და კონსულტაციებს სამართლებრივი აქტების პროექტებზე**. ამასთან, კანონი არ ზღუდავს საზოგადოების მონაწილეობას ამ კონკრეტული ფორმებით და უშვებს სხვა მეთოდებსაც.²⁶

²⁴ აზერბაიჯანი, ევროპის რეგიონთა კომიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#).

²⁵ *იგივე*

²⁶ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, 2013 წლის 22 ნოემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#).

საზოგადოების მონაწილეობა მოიცავს მოქალაქეთა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობას პოლიტიკის შემუშავებაში, გადაწყვეტილებების მიღებაში ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე საჯარო კონტროლის ორგანიზებაში. საჯარო საბჭოებში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების აქტორები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, პროფკავშირები, მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფები და მუნიციპალური ბლოკის ასოციაციები. რეგულარული საჯარო საბჭო წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, ხოლო მონაწილეობის სხვა ფორმები, როგორებიცაა საჯარო განხილვები, მოსმენები, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და წერილობითი კონსულტაცია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან გამოიყენება საჭიროებისამებრ. თუმცა, მრავალი ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება ნაკლებად ინტერესდება სამოქალაქო საზოგადოების ჩართვით გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ იყენებს კანონმდებლობაში ასახულ საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმებს. ზოგიერთი სახელმწიფო ორგანო ზედაპირულად იყენებს საზოგადოების მონაწილეობის პროცესებს, იწვევენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს მხოლოდ ცერემონიულად, გადაწყვეტილების მიღებაში რეალური ჩართულობის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ორგანო ჭეშმარიტად ახორციელებს საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმებს, ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საჭიროა როგორც სამართლებრივი საფუძვლები, ასევე პოლიტიკური ნება, რისი დეფიციტიც ხშირად იკვეთება ხელისუფლების ქვედა დონეზე.²⁷

კვლავ აქტუალური რჩება აზერბაიჯანში თვითმმართველობის განვითარების შემადგერხებელი ფაქტორები, რომელთა შორისაა მუნიციპალიტეტებისთვის მინიჭებული არასაკმარისი უფლებამოსილება, მუნიციპალიტეტების, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების ბუნდოვანი სტატუსი და შეზღუდული ფინანსური რესურსები. მუნიციპალური ადმინისტრაციები ხშირად ფუნქციონირებენ ადგილობრივად დანიშნული აღმასრულებელი ხელმძღვანელების ქვეშ, რომლებიც თავიანთ უფლებამოსილებას იღებენ აზერბაიჯანის პრეზიდენტისგან, რაც აფერხებს დეცენტრალიზაციის ძალისხმევას და ხელს უწყობს კორუფციული და მექრთამეობისადმი მიდრეკილი გარემოს ფორმირებას. არასათანადო დაფინანსებისა და შეზღუდული უფლებამოსილების ფონზე, ბევრ მუნიციპალიტეტს არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს სახელმწიფო პროექტები, დაფაროს ვალდებულება სახელმწიფო სოციალური დაცვის ფონდის მიმართ და გადაიხადოს თანამშრომელთა კომპენსაცია. ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის ანგარიშები ხაზს უსვამს მუნიციპალიტეტების გამოწვევებს, რომლებსაც ისინი აწყდებიან საბაზისო საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებაშიც კი და რაც

²⁷ საჰიბ მამედოვი, „საზოგადოების მონაწილეობა, კანონმდებლობა და მისი გამოყენების პრაქტიკა - მონიტორინგის ანგარიში“, 2017, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

იწვევს მათი როლის შემოფარგვლას ძირითადი ფუნქციებით, როგორცაა გზების მოწესრიგება, სასაფლაოების მოვლა და სოციალური დახმარების გარკვეული ასპექტები.²⁸

მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში კვლავ გამოწვევად რჩება, რადგან ადგილობრივი მთავრობები თავს იკავებენ საზოგადოების დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და ბიზნეს სუბიექტების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართვისგან. უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტები დროდადრო მონაწილეობენ უკანონო გარიგებებში ბიზნეს ინტერესებით, რაც კიდევ უფრო უთხრის ძირს გამჭვირვალე მმართველობას, - აღნიშნულია Freedom House-ის 2023 წლის ანგარიშში.²⁹

2023 წელს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტი ზომები აზერბაიჯანში სამოქალაქო სფეროში სიტუაციის გაუარესების საპასუხოდ და უვადოდ შეაჩერა აზერბაიჯანის რესპუბლიკის წევრობა OGP-ში. ეს გადაწყვეტილება ხაზს უსვამს გლობალური ალიანსის ერთგულებას ღია, ინკლუზიური და ანგარიშვალდებული მმართველობის მხარდაჭერის მიმართ. შესაბამისად, აზერბაიჯანი აღარ იქნება მიჩნეული OGP-ის მონაწილე ქვეყნად.³⁰

ამგვარად, ჩამოთვლილი მექანიზმების არსებობის მიუხედავად, არსებობს გამოწვევები, როგორცაა შეზღუდული მონაწილეობა, ძალაუფლების ცენტრალიზაცია და რესურსების ნაკლებობა, რაც მოითხოვს აზერბაიჯანის მხრიდან მუდმივ ძალისხმევას ინკლუზიური და პასუხისმგებლიანი ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშესაწყობად.

მოლდოვა

მთავარ გამოწვევად რჩება გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა ჩართულობა და მოლდოვის მთავრობისადმი ნდობა. ეფექტური კომუნიკაცია, საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოების ნდობის მოპოვება ქვაკუთხედიანია მოქალაქეთა ჩართულობის გასაძლიერებლად. თუმცა, მონაწილეობის ამჟამინდელი მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს იმ გავლენას, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის საჭირო.

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის 2023 წლის ინდექსის“³¹ მიხედვით, მოლდოვა 0,53 ქულით 142 ქვეყანას შორის 68-ე ადგილს იკავებს მმართველობის ღიაობის მიხედვით. იგი 56-ე ადგილზეა ინფორმაციის მიღების უფლების,

²⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობა აზერბაიჯანში: მცირე გაუმჯობესება; შეზღუდული უფლებამოსილებები და მუნიციპალიტეტების სუსტი ფინანსური მდგომარეობა საჭიროებს სასწრაფო მოგვარებას.“ 2021, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

²⁹ „ქვეყნები გარდამავალ პერიოდში 2023 - აზერბაიჯანი“, Freedom House, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

³⁰ „აზერბაიჯანს უვადოდ შეუჩერდა ღია მმართველობის პარტნიორობის წევრობა“, 2023 წლის 17 აგვისტო, ღია მმართველობის პარტნიორობა, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

³¹ კანონის უზენაესობის ინდექსი 2023, მოლდოვა, მსოფლიო სამართლიანობის პროექტი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

ხოლო 55-ე ადგილზე სამოქალაქო მონაწილეობის მიხედვით. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მონიტორინგი ფოკუსირებულია მარეგულირებელი პროცესების გამჭვირვალობაზე და მოქალაქეთა ჩართულობაზე. ადგილობრივი ადმინისტრაციების გამჭვირვალობის შესახებ ანგარიშები ხაზს უსვამს საჯარო კონსულტაციების ქაოტურ ხასიათს და მნიშვნელოვან ხარვეზებს. 2019 წელს, რაიონების 41%-ში და ქალაქებისა და სოფლების 58%-ში არ ჩატარებულა საჯარო კონსულტაციები, ხშირ შემთხვევაში კი არ ხდებოდა შედეგების კომუნიკაცია. რაც შეეხება მონაწილეობით ბიუჯეტირებას, ადგილობრივი მთავრობების უმეტესობა ასრულებდა კონსულტაციების გამართვის ვალდებულებას, აღნიშნული ვალდებულება არ სრულდებოდა რაიონების მხოლოდ მეხუთედის და ქალაქებისა და სოფლების 40%-ის მიერ. აღსანიშნავია, რომ რაიონების დაახლოებით 80%-მა და ქალაქებისა და სოფლების 60%-მა თავიანთი ბიუჯეტები გამოაქვეყნეს ონლაინ.

მოლდოვას რესპუბლიკის სამართლებრივი ბაზა უზრუნველყოფს მოქალაქეების წვდომას საჯარო ინფორმაციაზე და მათ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა ადგილობრივ დონეზე განხორციელების კუთხით არსებული ხარვეზები მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. კანონები და სამთავრობო ბრძანებები არეგულირებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის დაცვის პრინციპებს, მეთოდებსა და ეტაპებს. ძირითადი საკანონმდებლო ინსტრუმენტები მოიცავს კონსტიტუციას, სამთავრობო გადაწყვეტილებებსა და სხვადასხვა კანონებს, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმების განხორციელებას. გადაწყვეტილების მიღებისას გამჭვირვალობის შესახებ კანონი ავალდებულებს ხელისუფლებას ჩართონ მოქალაქეები, ასოციაციები და დაინტერესებული მხარეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, იგი არ განსაზღვრავს სპეციფიკურ დეტალებს ინფორმაციის ფორმატისა და ხელმისაწვდომობის შესახებ, რაც არსებითად მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტური მონაწილეობისთვის. მთავრობის დირექტივები, როგორცაა 2012 წლის 3 აპრილის №188 გადაწყვეტილება, მიზნად ისახავს გამჭვირვალობის გაზრდას სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური ვებგვერდების მეშვეობით. ანალოგიურად, გადაწყვეტილება No967, დათარიღებული 9.08.2016 წლით, ავალდებულებს სუბიექტებს გამოაქვეყნონ გადაწყვეტილებების პროექტები და დაკავშირებული მასალები ოფიციალურ ვებგვერდებზე და პლატფორმებზე, როგორცაა www.particip.gov.md. რეგულაციებით ასევე მოითხოვება გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიშის მომზადება, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი გადაწყვეტილებები, მიღებული რეკომენდაციები, საკონსულტაციო შეხვედრები და დარღვევებისთვის დაწესებული სანქციები.

გარდა ამისა, 2023 წელს შეიქმნა საკანონმდებლო პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის მუდმივმოქმედი პლატფორმა. აღნიშნული პლატფორმა მიზნად ისახავს გააძლიეროს პოლიტიკის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა. 2023 წლის ივნისში საზოგადოებრივი ინტერესის ინფორმაციაზე წვდომის შესახებ მიღებული კანონი უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან და ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნებთან შესაბამისობას. კანონი

განსაზღვრავს საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის უფრო სწრაფად გავრცელების და სხვადასხვა მონაცემების პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებას.

სახელმწიფო ორგანოები სულ უფრო ხშირად იყენებენ სოციალური მედიის პლატფორმებს მოქალაქეთა ჩართულობისთვის და ინფორმაციის გასავრცელებლად. ბევრ რაიონსა და ქალაქს ახლა უკვე აქვს ოფიციალური ფეისბუქ გვერდები, სადაც ვრცელდება შეტყობინებები და საინტერესო სიახლეები³². პარტნიორების მხარდაჭერით IT ინფრასტრუქტურის განვითარება იძლევა საჯარო განხილვების ვიდეოჩანაწერის მომზადებისა და პირდაპირი ტრანსლაციის საშუალებას, რითაც იზრდება გამჭვირვალობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

სამოქალაქო საზოგადოებასთან საჯარო კონსულტაციების მექანიზმი მკაფიოდ განსაზღვრავს ეტაპებს, ვადებსა და პირობებს პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩასართავად, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესით დაწყებული. მოლდოვაში მონაწილეობის ძირითადი მექანიზმები მოიცავს *საჯარო ინფორმაციის გავრცელებას, სამუშაო ჯგუფების მოწვევას და ელსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მოსაზრებების მოსმენას*.

პლატფორმის - www.particip.gov.md შექმნის მიზანი იყო ნორმატიული აქტების შემუშავებისა და კონსულტაციის პროცესში მონაწილეთა ეფექტიანობის გაზრდა, საკონსულტაციო პროცესების რეალურ დროში მონიტორინგი და ადმინისტრირება. თუმცა, გაწეული ძალისხმევების მიუხედავად, წლიური ანგარიშები მიუთითებს, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია. მაგალითად, 2020 წელს პორტალზე 2112 რეკომენდაციიდან მხოლოდ 379 წამოვიდა მოქალაქეებისგან, დანარჩენი კი - სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან.

კონსტიტუციით გათვალისწინებულია მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, როგორცაა საჯარო პეტიციები და ადგილობრივი რეფერენდუმები³³. ბოლო წლებში პოპულარობა მოიპოვა ონლაინ პეტიციების ინიციატივებმა, განსაკუთრებით ისეთ პლატფორმებზე, როგორცაა www.change.org და <https://www.petitiononline.com>, თუმცა, ისინი არ არის სამართლებრივად სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება დანერგულია ათ ქალაქში და სხვადასხვა დასახლებაში, მათ შორის, განსაკუთრებული წარმატებით კიშინიოვში 2017 წლიდან³⁴, თუმცა ჯერ კიდევ არ ხდება მისი გამოყენება საყოველთაოდ. 2018 წლიდან, აღმოსავლეთ ევროპის ფონდმა

³² ვიორელ პირვანი, “*მოლდოვის ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობა 2019 წელს*“, განვითარებისა და სოციალური ინიციატივების ინსტიტუტი (IDIS), ეკონომიკური და სოციალური რეფორმების ინსტიტუტი (INEKO), სლოვაკეთის რესპუბლიკის განვითარების ოფიციალური მხარდაჭერა, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

³³ მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

³⁴ კიშინიოვის სამოქალაქო ბიუჯეტი, კიშინიოვის მერია, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

ექვს რაიონში მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი მექანიზმის პილოტირება დაიწყო. ეს ინიციატივა, რომელიც ცნობილია „მონაწილეობითი რაიონული საბჭოს“ სახელით, იყენებს რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების არსებულ ქსელებს კონკრეტულ თემებზე დისკუსიების გასამართად. იგი წარმოადგენს პლატფორმას წინადადებებისა და გადაწყვეტილებების შესამუშავებლად, რომელთა განხილვა მოხდება სახელმწიფო ორგანოების დღის წესრიგში შესატანად; ასევე შესაძლებელია სამთავრობო გადაწყვეტილებების გაძლიერებისკენ მიმართული რეკომენდაციების წარდგენა.

2023-2030 წლების საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის სტრატეგიის შესაბამისად, 2023 წელს დამტკიცდა ახალი ციფრული ინსტრუმენტი - ელექტრონული დემოკრატიის პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერებას³⁵. იგი მოიცავს

e-Petition-ს სამოქალაქო ინიციატივებისთვის, e-Feedback-ს სახელმწიფო სერვისების შესახებ მოქალაქეებისა და კომპანიებისთვის უკუკავშირის მისაწოდებლად და e-Survey-ის კონსულტაციებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მიუხედავად ამისა, მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და კოლექტიური პეტიციების/სამოქალაქო ინიციატივების გავლენა საგრძნობლად დაბალია. 2019³⁶, 2020³⁷ და 2021³⁸ წლების სოციალური თანმიმდევრობის ინდექსი ხაზს უსვამს გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედების მიზნით მოქალაქეთა მონაწილეობის დაბალ მაჩვენებლებს და მოქალაქეთა ჩართვის მიმართ სახელმწიფო ორგანოების ნაკლებ სურვილს. ინდექსი ხაზს უსვამს პოლიტიკურ აქტივობებში და ზემოქმედების ინიციატივებში მონაწილეობის დაბალ დონეს, რომელთა ქულა მაქსიმალური 1.0-დან, შესაბამისად, 0.04 და 0.01-ია. მიუხედავად იმისა, რომ 10-დან 7 მოქალაქეს აქვს ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების (LPAs) ფუნქციებისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების შესახებ, 10-დან მხოლოდ 1 ყოფილა ჩართული საჯარო კონსულტაციებში. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლიდან 2021 წლამდე პოლიტიკური ინტერესი მცირედით 0,47-დან 0,55 ქულამდე გაიზარდა, სტაგნაცია განიცადა მონაწილეობის მაჩვენებელმა, 0,04-დან 0,07-მდე უმნიშვნელო ზრდით.

მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საჯარო ადმინისტრირების ხარისხთან და საჯარო მოხელეების კონსტრუქციული კომუნიკაციის უნართან. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების ყველა ორგანიზაცია არ არის პოლიტიკურად აქტიური, ხმაურიანი ან გავლენიანი. საჯარო ხელისუფლებას არ გააჩნია უკუკავშირის მიწოდების ეფექტური მექანიზმი, რის გამოც არ ხდება პოლიტიკურად

³⁵ მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობა, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

³⁶ როდიკა ივაშკუ, ნატალია კოვრიგი, ალექსეი ბუზუ, ვასილი კანტარჯი, „სოციალური ერთიანობა მოლდოვის რესპუბლიკაში 2020,“ დეკემბერი 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

³⁷ იგივე

³⁸ როდიკა ივაშკუ, ნატალია კოვრიგი, ვიაჩესლავ ბარტინეშკუ, „სოციალური ერთიანობა მოლდოვის რესპუბლიკაში 2021,“ ნოემბერი 2021, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

აქტიური მოქალაქეების ინფორმირება, თუ რა შედეგი მოჰყვა მათ მონაწილეობას, რაც იწვევს იმედგაცრუებას.

მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვას აქვს სამოქალაქო მონაწილეობის მყარი საკანონმდებლო ბაზა, არ არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა საჯარო კონსულტაციებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის წესებთან შესაბამისობას. ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ზოგიერთი სახელმწიფო ორგანო ვერ უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტების დაცვას, უპირველეს ყოვლისა, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ონლაინ ინსტრუმენტების ნაკლებობის გამო, განსაკუთრებით, რეგიონებში.³⁹

საჯარო მოსმენებისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, ხშირად არ ხდება სამოქალაქო საზოგადოების წინადადებების აღრიცხვა ან ანგარიშგება, რაც აფერხებს გადაწყვეტილების მიღებაზე მათი გავლენის მონიტორინგსა და შეფასებას. სახელისუფლებო ორგანოების დაახლოებით 90% არ ამზადებს საჯარო კონსულტაციებიდან მიღებული რეკომენდაციების შეჯამებას, რაც უკარგავს მოქალაქეებს მონაწილეობის სურვილს. ამ საკითხის გადასაჭრელად, უნდა მოხდეს კონსულტაციების დროს მიღებული ყველა რეკომენდაციის გადახედვა და შეჯამება, ასევე წარმოჩენა, თუ რა გავლენა იქონია დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულმა ინფორმაციამ გადაწყვეტილების მიღებაზე. კონსულტაციების შემდგომ მოსაზრებების შეჯამება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონაწილეობის პროცესსა და საჯარო ადმინისტრაციისადმი ნდობის ამაღლებაში; თუმცა, ამ საკითხის მნიშვნელობაზე ამჟამად ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული.⁴⁰

უკრაინა

უკრაინაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას უზრუნველყოფს სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის **საჯარო კონსულტაციები, მოსმენები და მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინიციატივები**, როგორც ეს ასახულია უკრაინის კონსტიტუციაში, კერძოდ, 38-ე და მე-40 მუხლებში, რომლებიც ითვალისწინებს საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლებას და სიტყვის თავისუფლებას⁴¹.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინსტიტუციური მექანიზმები ასევე მოიცავს კანონების მიღებას მოქალაქეების მიერ რეფერენდუმის გზით, ასევე კანონების შემუშავებასა და მიღებას მოქალაქეების ჩართულობით (პეტიციების წარდგენითა და მიღებით).

³⁹ ვიორიკა ტუდოსი, ALDA მოლდოვა, თებერვალი, 2024.

⁴⁰ იგივე

⁴¹ უკრაინა, უკრაინის კონსტიტუცია, კიევი: უკრაინის უმაღლესი რადა, 1996, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

გარდა ამისა, ბოლო წლებში პოპულარობით სარგებლობს მოქალაქეთა მონაწილეობის ალტერნატიული გზებიც: მოქალაქეთა თვითმართული ორგანოების შექმნა, სამთავრობო უწყებებში საჯარო საბჭოების ჩამოყალიბება, საჯარო მოსმენები, რეგულაციების პროექტების საჯარო განხილვები. აღნიშნულმა ხელი შეუწყო უკრაინაში სამოქალაქო ინიციატივების ახალ ტალღას.

მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობა არსებითად მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ეფექტური მონაწილეობისთვის. უკრაინამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ბოლო წლებში, რასაც ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წამოსულმა ზეწოლამ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც უზრუნველყოფილია „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“ კანონით, ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. საჯარო დაწესებულებებმა პროაქტიულად უნდა გაამყდონ ინფორმაცია, უპასუხონ მოქალაქეთა მოთხოვნებს და უზრუნველყონ ოფიციალურ დოკუმენტებზე წვდომა, რაც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ჩაერთონ საჯარო დისკურსში და პასუხი მოსთხოვონ მთავრობას, ეს კი აძლიერებს დემოკრატიულ მმართველობას⁴². თუმცა, ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები. ევროკომისიის 2023 წლის ანგარიშში ხაზგასმულია რუსეთის შეჭრისა და საომარი მდგომარეობის გავლენა უკრაინაში საპარლამენტო გამჭვირვალობაზე, მათ შორის შეზღუდვები პირდაპირ ტრანსლაციაზე, ჟურნალისტების შეზღუდული წვდომა ინფორმაციაზე და ინტერნეტ სივრცეში საპარლამენტო დოკუმენტების არარსებობა. საპარლამენტო საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების აღსადგენად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საჯარო კონსულტაციებისა და კონტროლის განახლება საომარი მდგომარეობის დასრულების შემდგომ.⁴³

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო) უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ უკრაინაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობაში. უკრაინის კონსტიტუციით დაცულია გაერთიანების (მუხლი 36), აზრისა და სიტყვის თავისუფლება (მუხლი 34). შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც საფრთხეს უქმნის უკრაინის დამოუკიდებლობას, კონსტიტუციურ წესრიგს, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, უსაფრთხოებას ან ადამიანის უფლებებს.⁴⁴ რუსეთის აგრესიისა და საომარი მდგომარეობის შედეგად გამოწვევების მიუხედავად, უკრაინამ დაამტკიცა სტრატეგიული დოკუმენტები სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშესაწყობად, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების 2021-2026 წლების ეროვნული სტრატეგია, ეროვნული სტრატეგია ბარიერების გარეშე და ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია.⁴⁵ გარდა ამისა, ევროკომისიამ რეკომენდაცია მისცა უკრაინას, გააძლიეროს ძალისხმევა სამოქალაქო აქტივისტებზე ზეწოლისა და მუქარის შემთხვევების გამოძიებისა

⁴² ტატანა ოლექსიუკი, „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უკრაინაში: მიღწევები და გამოწვევები კანონის მიღებიდან დღემდე,“ გაეროს განვითარების პროგრამა, უკრაინა 2023.

⁴³ „უკრაინის 2023 წლის ანგარიში,“ SWD(2023) 699, 2023, ევროპის კომისია, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁴⁴ უკრაინა, უკრაინის კონსტიტუცია, კიევი: უკრაინის უმაღლესი რადა, 1996, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁴⁵ „უკრაინის 2023 წლის ანგარიში,“ SWD(2023) 699, 2023, ევროპის კომისია, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

და აღკვეთის მიმართულებით, რაც ეხება როგორც შექრამდე, ისე მის შემდგომ პერიოდებს. ეს რეკომენდაცია ხაზს უსვამს აქტივისტების უსაფრთხოებისა და დაცვის აუცილებლობას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამოქალაქო ჩართულობის ხელშესაწყობად. გარდა ამისა, კომისია ხაზს უსვამს სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერების აუცილებლობას, მათ შორის დისკუსიების საჭიროებას “უკრაინის პარლამენტში საჯარო კონსულტაციების შესახებ” კანონპროექტის ირგვლივ.⁴⁶

გასაჩივრების მექანიზმები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უკრაინაში მოქალაქეების უფლებების გასაძლიერებლად - უფლება, რომელიც კონსტიტუციის 40-ე მუხლით არის დაცული.⁴⁷ 1996 წლის კანონი⁴⁸ „მოქალაქეთა მიმართვიანობის შესახებ“, მასში დროდადრო ასახულ ცვლილებებთან ერთად, განსაზღვრავს ინფრასტრუქტურას, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი საჩივრები და მიმართვები საჯარო ხელისუფლების სხვადასხვა დონემდე მიიტანონ. აღნიშნული კანონი საჩივრების მექანიზმებს სამ ტიპად ყოფს: წინადადება (შენიშვნები), განცხადება (პეტიცია) და საჩივარი. წინადადება (შენიშვნები) მოიცავს მოქალაქეთა მიმართვებს, სადაც წარმოდგენილია რჩევები და რეკომენდაციები სხვადასხვა სამთავრობო აქტივობებთან დაკავშირებით, ხოლო განცხადება (პეტიცია) საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ითხოვონ დახმარება კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მათი უფლებებისა და ინტერესების რეალიზებაში. საჩივრები კი მოიცავს სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა სუბიექტების ქმედებებითა თუ გადაწყვეტილებებით მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნებს.

ეს მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება „მოქალაქეთა მიმართვიანობის შესახებ“ კანონის 14-19-ე მუხლებით, ავალდებულებს როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას, ობიექტურად განიხილონ საჩივრები, გამოასწორონ უფლებების დარღვევის შემთხვევები და წარმოადგინონ თავიანთი გადაწყვეტილებები შესაბამისი დასაბუთებით. ისინი წარმოადგენს ანგარიშვალდებულების სასიცოცხლო ინსტრუმენტებს, რომლებიც საშუალებას აძლევს საჯარო მოხელეებსა და არჩეულ თანამდებობის პირებს შეაფასონ მომსახურების სტანდარტები, გამოავლინონ ხარვეზები და გააძლიერონ ნდობა საზოგადოებაში. 2015 წლის ივლისში განხორციელებული ცვლილებებით შესაძლებელი გახდა ელექტრონული ფორმით განცხადების წარდგენა, რამაც აიძულა ადგილობრივი ხელისუფლება დაენერგა ელექტრონული პლატფორმები. ამან გაამარტივა პროცესი, რამაც განაპირობა მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა და საჩივრების უფრო ეფექტური მართვა.⁴⁹ ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტრო,

⁴⁶ იგივე

⁴⁷ უკრაინა, უკრაინის კონსტიტუცია, კიევი: უკრაინის უმაღლესი რადა, 1996, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁴⁸ უკრაინის უმაღლესი რადა (VVR) 1996, “კანონი მოქალაქეთა საჩივრების შესახებ,” უკრაინა, No. 47, მუხლი 256, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁴⁹ ტატანა ოლექსიუკი, “საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უკრაინაში: მიღწევები და გამოწვევები კანონის მიღებიდან დღემდე,” გაეროს განვითარების პროგრამა, უკრაინა 2023.

რომელიც შეიქმნა 2019 წელს, მართავს ელექტრონულ ინსტრუმენტებს, რათა ხელი შეუწყოს პოლიტიკის ღიად შემუშავებას და ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას.⁵⁰ პროგრესის მიუხედავად, რჩება სკეპტიციზმი ამ მექანიზმების მიმართ. ევროპის საბჭომ უკრაინის ადგილობრივ ხელისუფლებას მისცა რეკომენდაცია გაზარდოს საზოგადოების ცნობიერება და ჩაატაროს ტრენინგები ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ.⁵¹

ღირსების რევოლუციის შემდეგ, უკრაინამ ღია პოლიტიკა მისი მმართველობის ნაწილად აქცია, რამაც გამოიწვია სამოქალაქო საბჭოების შექმნა როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე საჯარო ორგანოების მიერ.⁵² უკრაინაში მოქმედი რამდენიმე კანონი, მათ შორის 2011 წლის კანონი No2862-VI „სოციალური დიალოგის შესახებ“, 2004 წლის კანონი No1160 „ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელი პოლიტიკის პრინციპების შესახებ“ და მინისტრთა კაბინეტის 2010 წლის დადგენილება No996 „სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ“ შეიცავს ღია პოლიტიკის წარმოებასთან დაკავშირებულ დებულებებს. ბოლო წლების განმავლობაში, აღნიშნულ კანონებში არაერთი ცვლილება შევიდა საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერების მიზნით; ამასთან, გრძელდება ძალისხმევა კანონპროექტის შემუშავებაზე, რომელიც საგანგებოდ ფოკუსირებული იქნება საჯარო კონსულტაციებზე.⁵³

რეზოლუცია No996 აღწერს საჯარო კონსულტაციების ჩატარების ზოგად პროცედურებს და ხაზს უსვამს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას საკონსულტაციო ორგანოებში. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის სავალდებულო ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, რეზოლუცია განსაზღვრავს საზოგადოების ჩართულობის ჩარჩოს, რომელიც შეიძლება ნებაყოფლობით იქნას დანერგილი. ძირითადი განხილული ასპექტები მოიცავს რეგულაციების გავლენის შეფასებას, ურბანულ განვითარებასა და გარემოსდაცვით ექსპერტიზას, ინფორმირებული და ინკლუზიური დისკუსიების გამართვას. საზოგადოების მონაწილეობის შემდგომი სტიმულირების მიზნით, ადგილობრივმა აღმასრულებელმა ორგანოებმა უნდა გამოაქვეყნონ აქტების პროექტები თავიანთ ვებ-გვერდებზე, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, მათ მოეთხოვებათ საჯარო კონსულტაციების წლიური გეგმის შედგენა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უკუკავშირი.⁵⁴

⁵⁰ “ვებგვერდი და ჩატბოტი ადგილობრივი თემებისთვის“, ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტრო, ხელმისაწვდომია შემდეგი საშუალებით [ბმულად](#).

⁵¹ “სახელმძღვანელო ღია ლოკალური მმართველობისა და საჯარო ეთიკის შესახებ“, უკრაინა, 2021 წ., ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).

⁵² იგივე

⁵³ “უკრაინის 2023 წლის ანგარიში,” SWD(2023) 699, 2023, ევროპული კომისია, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).

⁵⁴ “სახელმძღვანელო ადგილობრივი ღია მმართველობისა და საჯარო ეთიკის შესახებ“, უკრაინა, 2021 წ., ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).

2019 წლის მაისში, სამოქალაქო საბჭოების ფორმირების მოდერნიზების მიზნით, მინისტრთა კაბინეტმა ცვლილება შეიტანა №996 დადგენილებაში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა საბჭოს წევრების ონლაინ კენჭისყრის გზით არჩევა. ეს ცვლილება წარმოადგენს მნიშვნელოვან წინსვლას გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების გზაზე.⁵⁵

უკრაინაში არსებული ორი მნიშვნელოვანი პრაქტიკა ხაზს უსვამს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების ეფექტურ ჩართულობას და საზოგადოების მონაწილეობას. პოლიტიკის შემუშავებაში ახალგაზრდების ჩართვის მცდელობით გამოირჩევა არასამთავრობო ორგანიზაცია “ახალგაზრდული პლატფორმის” ინიციატივა. პროექტის ჩაშვებით, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივ მთავრობაში ახალგაზრდული საკონსულტაციო საბჭოების შექმნას, პლატფორმა უზრუნველყოფს მისი განხორციელების ყოველმხრივ მართვას. დასაწყისისთვის ვოლინის ოლქის თემებში პილოტირების შემდეგ, პროექტი გაფართოვდა და უკრაინის მრავალ ქალაქში დაინერგა.⁵⁶

ლვოვის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქციაში შემავალ სხვადასხვა ადგილობრივ საკითხზე შესაძლოა ჩატარდეს საჯარო მოსმენა. მოსმენის ჩატარების პროცედურები დეტალურად არის აღწერილი დებულებაში, რომელიც არეგულირებს ქალაქ ლვოვში საჯარო მოსმენების ჩატარების პროცესს და წარმოადგენს ლვოვის ტერიტორიული თემის წესდების დანართს. ლვოვის საკრებულოს სამდივნო, ინიციატორთან თანამშრომლობით, განსაზღვრავს საჯარო მოსმენის თარიღს, შესაბამისი განცხადებები დაუყოვნებლივ განთავსდება ლვოვის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე მოთხოვნის მიღებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.⁵⁷

მონაწილეობითი ბიუჯეტირება ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის კიდევ ერთი გზაა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ №280/97-ვრ კანონის მე-9 მუხლი საშუალებას აძლევს პირებს თავიანთი ინიციატივები წარუდგინონ ადგილობრივ საკრებულოს. სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2017-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების დროს, ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა „ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების“ სახელმძღვანელო მითითებები, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას შესთავაზა რეკომენდაციები მონაწილეობითი ბიუჯეტირების რეგულაციების შემუშავების შესახებ.⁵⁸

ღია ბიუჯეტის ინდექსის შეფასება აღწერს უკრაინის ეროვნულ საბიუჯეტო სისტემას, როგორც ლიმიტირებულს და გასცემს რეკომენდაციას ბიუჯეტის ფორმულირებისას მონაწილეობის მექანიზმების გაფართოების შესახებ, რათა მოხდეს ყველა იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ან საზოგადოების წევრის ჩართვა, რომელსაც აქვს

⁵⁵ იგივე

⁵⁶ იგივე

⁵⁷ იგივე

⁵⁸ “მეთოდური რეკომენდაციები ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების შესახებ“, ბრძანება N94, ფინანსთა სამინისტრო, უკრაინა, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#).

მონაწილეობის სურვილი. ასევე მოწოდებულია დაუცველი და ნაკლებად წარმოდგენილი თემების აქტიურად ჩართვა, პირდაპირ ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლობით.⁵⁹ ევროკომისის მიერ აღნიშნულია გამჭვირვალობისა და მონაწილეობის შესუსტება საომარი მდგომარეობის დროს და გაცემულია რეკომენდაცია გამჭვირვალობისა და მონაწილეობის თანდათანობით აღდგენის შესახებ, სადაც ეს შესაძლებელია. პრიორიტეტად, ევროკავშირი ასევე ხაზს უსვამს პარლამენტისა და სახაზინო პალატის შესაძლებლობების გაძლიერების აუცილებლობას საბიუჯეტო პროცესის კონტროლის მიზნით.

გამორჩეულ მაგალითს წარმოადგენს პოლტავას ოლქის შემთხვევა, რომელმაც დანერგა რეგიონალურ დონეზე მონაწილეობითი ბიუჯეტირება, რაც წარმოადგენს გადახვევას უკრაინის ტიპური მუნიციპალური მართვიდან. 2010 წლიდან, პოლტავას რეგიონის საკრებულო ახორციელებს სხვადასხვა საპროექტო კონკურსებს, საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული კონკურსები მოიცავს ტერიტორიულ განვითარებას, გარემოსდაცვით ინიციატივებს და საჯარო განათლებას. ღია და საჯარო ხმის მიცემის გზით, მაცხოვრებლები უშუალოდ ახდენენ გავლენას, თუ რომელი პროექტი მიიღებს დაფინანსებას, ეს კი ხელს უწყობს ადგილობრივ თემებსა და სამთავრობო ორგანოებს შორის თანამშრომლობას. "პოლტავას SMART რეგიონის" საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბება კიდევ უფრო აძლიერებს ხელმისაწვდომობასა და მონაწილეობას მისი მაცხოვრებლებისთვის. მიუხედავად გამოწვევებისა, როგორცაა საბიუჯეტო პრიორიტეტების ცვლილება ომიანობის ჟამს, ინოვაციური გადაწყვეტილებები, როგორცაა ქრაუდფანდინგის პლატფორმის შექმნა 2020 წელს, კვლავაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინიციატივების მხარდაჭერას, ადასტურებს მდგრადობას და რთულ პერიოდში ადაპტირების უნარს.⁶⁰

ბელორუსია

ბელორუსიაში ძირითადად მოქმედებს ადგილობრივი მმართველობის ცენტრალიზებული სისტემა, სადაც ადგილობრივ დონეზე ავტონომია და მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები საგრძნობლად ლიმიტირებულია ბევრ დასავლურ დემოკრატიასთან შედარებით. ბელორუსიაში ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურა შედგება რეგიონებისგან, ცნობილი როგორც ოლქები, ქალაქებისგან და სოფლებისგან, რომელთა ადმინისტრირება ხდება ადგილობრივად. საკანონმდებლო ბაზა, რომელიც, უპირველესად მოიცავს კონსტიტუციას და „ადგილობრივი ხელისუფლებისა და თვითმმართველობის შესახებ“ კანონს, ასახავს ადგილობრივი მმართველი ორგანოების სტრუქტურასა და ფუნქციებს, უფრო მეტად ითვალისწინებს ცენტრალიზებული კონტროლის შენარჩუნებას, ვიდრე დეცენტრალიზაციის ან მოქალაქეთა მონაწილეობის წახალისებას.⁶¹

⁵⁹ „ღია ბიუჯეტის კვლევა 2021, უკრაინის ანგარიში,“ 2021, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).

⁶⁰ „სმარტ რეგიონი,“ ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).

⁶¹ ბელორუსია, რეგიონების ევროპული კომიტეტი, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).

ბელორუსის რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონმდებლობა აღწერს ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის ათზე მეტ ფორმას. კონსტიტუციის 117-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეები ადგილობრივ მართვასა და თვითმმართველობაში ერთვებიან სხვადასხვა არხებით, მათ შორის, დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანოების, ტერიტორიული საჯარო თვითმმართველი ორგანოების, ადგილობრივი რეფერენდუმისა და კრებების საშუალებით, ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის სხვა პირდაპირი ფორმებით. პირდაპირი მონაწილეობის ეს ფორმები უფრო დეტალურად არის აღწერილი „ადგილობრივი ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის შესახებ“ კანონის დებულებებში, რომელიც მოიცავს მექანიზმებს, როგორცაა ადგილობრივი კრებები, ადგილობრივი რეფერენდუმი, სამოქალაქო ინიციატივები, ან მოქალაქეთა ჩართულობა მათ მიერ განსაზღვრული საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსებასა ან/და ანაზღაურებაში. გარდა ამისა, არსებობს სხვა კანონები და საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ასევე ითვალისწინებს მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის რამდენიმე მეთოდს.⁶²

ქვემოთ მოცემულ კლასიფიკაციაში, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის ფორმები პირობითად დაყოფილია სამ ჯგუფად, კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე მათი პოტენციური გავლენის მიხედვით:

1. მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პირდაპირი ფორმები:

- ადგილობრივ არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობა და ადგილობრივი საკრებულოს არჩეული დეპუტატების გამოწვევა;
- ადგილობრივი რეფერენდუმი

2. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები:

- მოქალაქეების მონაწილეობა მათ მიერ განსაზღვრული მიზნობრივობით საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსებასა და/ან ანაზღაურებაში (მოქალაქის ნებაყოფლობითი გადასახადი);
- ტერიტორიული საჯარო თვითმმართველობა;
- ადგილობრივი კრება;
- საკრებულოს სხდომის მოწვევის სამოქალაქო ინიციატივა;
- საკრებულოს დეპუტატთან შეხვედრის ინიცირება და დეპუტატებისაგან მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოთხოვნის უფლებამოსილება;
- სამოქალაქო ინიციატივის წარდგენა საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად (საკანონმდებლო ინიციატივა);

⁶² მიროსლავ კობასა, „ბელორუსში ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში: სტატუსი, გამოცდილება და პერსპექტივები“, „ლევ საპიჰას ფონდი“, მაისი, 2020 წელი, მინსკი

3. მოქალაქეთა აზრის მოსმენის ფორმები:

- მოქალაქეთა მიმართვები;
- საჯარო დისკუსიები (მოსმენები);
- მოქალაქეთა გამოკითხვები.

ჩამოთვლილ ფორმებს შორის, ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმები, რომელთა ინიცირებაც თავად მოქალაქეებს შეუძლიათ, არის მოქალაქეთა მიმართვები, მოქალაქეთა მონაწილეობა მათ მიერ განსაზღვრული მიზნობრივობით ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებაში (მოქალაქეთა მიერ თვითდაბეგვრა) და ტერიტორიული საჯარო თვითმმართველობა.

მოქალაქეთა მიმართვები წარმოადგენს პირდაპირი მონაწილეობის უმარტივეს და ხელმისაწვდომ ფორმას, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა არხებით დაუკავშირდნენ ორგანიზაციებსა და ოფიციალურ პირებს. აღნიშნული მიმართვები, წარმოდგენილი წერილობითი, ელექტრონული თუ ზეპირი ფორმით, შესაძლოა მოიცავდეს შეთავაზებას, განცხადებას ან საჩივარს. ნორმატიულად და პროცედურულად, მათი რეგულირება ხდება ბელორუსის რესპუბლიკის კანონით №300-3 „მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიმართვების შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 2011 წლის 18 ივლისს. თუმცა, არსებობს ეჭვები ანონიმურ მიმართვებთან და მათი განხილვისას თანამდებობის პირების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

ბელორუსის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქალაქეთა თვითგადასახადები მაცხოვრებლებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი ხარჯების დაფინანსებაში, განსაკუთრებით, მცირე დასახლებებში. მოქალაქეთა უფლებამოსილების გაძლიერების პარალელურად, მონაწილეობის ეს ფორმა იწვევს კრიტიკას ფინანსური რესურსების განაწილებისა და ნებაყოფლობითობის კუთხით.

საჯარო დისკუსიები, რომლებსაც კონკრეტულ საკითხებზე ითვალისწინებს კანონმდებლობა, მიზნად ისახავს მოქალაქეების ჩართვას გარემოსდაცვითი და ურბანული დაგეგმარების საკითხებში. მიუხედავად ამისა, არსებობს შეზღუდვები მასზე, თუ ვის შეუძლია ამ დისკუსიების ინიცირება, რაც ხელს უშლის უფრო ფართო მონაწილეობას.

მოქალაქეთა მიერ შექმნილი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოები (TPSB) ასრულებენ შუამავლის როლს მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის. თუმცა, შესაძლებელია მათი ეფექტიანობის გაზრდა დაფინანსების უკეთესი მექანიზმებითა და მოქალაქეების ჩართულობის გაზრდით.

მოქალაქეთა მონაწილეობის კიდევ ერთი ფორმა - ადგილობრივი კრებები იძლევა მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიებისა და გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. თუმცა, რთულია შეკრებების ორგანიზება და ხშირად ეს ეკისრება ადგილობრივ ხელისუფლებას.

მოქალაქეთა მონაწილეობის რეგულირებული ფორმების მიუხედავად, როგორცაა ადგილობრივი არჩევნები, სხვა მექანიზმების გამოყენება, როგორცაა რეფერენდუმი და დეპუტატების მოწვევა, კვლავ ნაკლებად გამოიყენება პროცედურული სირთულეებისა და მოქალაქეებზე ფინანსური ტვირთის გამო.

ამასთან, ბელორუსის ადგილობრივი თვითმმართველობის ექსპერტი მიროსლავ კობასა ხაზს უსვამს მოქალაქეთა მიერ წინადადებების ხშირ წარდგენას, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, როგორცაა მინსკი. ისეთ ქალაქში, როგორც მინსკია, სადაც დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ყოველწლიურად შესაძლოა 10,000-მდე წინადადება იქნეს წარდგენილი. წინადადებების ეს რაოდენობა ასახავს მოქალაქეების ინტერესს გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიმართ. თუმცა, მიუხედავად ამ ჩართულობისა, წარდგენილი წინადადებების შედეგები შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს მოქალაქეების მოლოდინებს ხელისუფლების დისკრეციული უფლებამოსილების გამო.⁶³

საერთაშორისო დამკვირვებლები აკრიტიკებენ⁶⁴ ბელორუსიას დემოკრატიული პროცესების არარსებობისა და ისეთი ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვის გამო, როგორცაა სიტყვისა და გაერთიანების თავისუფლება. ცენტრალიზებული მმართველობის მოდელი ზღუდავს ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიას და აფერხებს მოქალაქეთა მონაწილეობას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ ხორციელდება რეპრესიები, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებების მიღებაზე. დროდადრო პროტესტისა და ონლაინ აქტივიზმის მიუხედავად, მოქალაქეთა მონაწილეობის საშუალებები შეზღუდულია. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ ბელორუსის მიერ არ მომხდარა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირება ხაზს უსვამს გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია გამჭვირვალობასთან, ანგარიშვალდებულებასთან და ადგილობრივ ავტონომიასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ბელორუსის მოქალაქეები გამოხატავენ მზადყოფნას მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში წინადადებების წარდგენისა და დისკუსიების გზით, ისინი აწყდებიან მნიშვნელოვან ბარიერებს, მათ შორის დემოკრატიული სივრცის დეფიციტს და პოლიტიკურ შეზღუდვებს. მართალია, არსებობს ადგილობრივი მმართველობის სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც თეორიულად უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას, მკაცრად კონტროლირებადი არჩევნების მიმართ ხშირია გაყალბების ბრალდებები. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად ტარდება საჯარო მოსმენები და მერიის შეხვედრები მოქალაქეთა უკუკავშირის მისაღებად კონკრეტულ საკითხებზე, გაურკვეველია, თუ რა შედეგი მოაქვს ამას გადაწყვეტილების მიღებაზე. ვინაიდან დეცენტრალიზაციასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე მეტად უპირატესობა ცენტრალიზებულ უფლებამოსილებას ენიჭება, არსებობს გამოწვევები

⁶³ ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია "ლევ საპიჰას ფონდის" გამგეობის თავმჯდომარესთან, ექსპერტთან ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის საკითხებში, 10 მარტი, 2024.

⁶⁴ ქვეყნის ანგარიში, 2023, ფრიდამ ჰაუსი, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

პოლიტიკურ თავისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოების მიმართ რეპრესიებთან და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. ამ გამოწვევების დასაძლევად საჭიროა მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის გასაძლიერებლად, რაც ხელს შეუწყობს უფრო ინკლუზიური და მონაწილეობითი მმართველობის დანერგვას.

მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები ევროკავშირში

მოქალაქეთა მონაწილეობა წარმოადგენს ევროპული დემოკრატიის ქვაკუთხედს, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის, კანონებისა და ინსტიტუციური ჩარჩოების ფორმირების პროცესში და ხელს უწყობს უფრო ინკლუზიური და პასუხისმგებლიანი მმართველობის მოდელის დანერგვას. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით, ფაქტორი, რომელიც მათ ყველას აერთიანებს, არის დემოკრატიული პრინციპების ფუნდამენტური რწმენა. გადაწყვეტილების მიღების პროცესებში აქტიური ჩართულობის წყალობით, მოქალაქეთა მონაწილეობა ხელს უწყობს სოციალური განხეთქილებების გადალახვას, მარგინალიზებული ჯგუფების გაძლიერებას და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია შეიცავს გარკვეულ მითითებებს მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის მნიშვნელობაზე. მის პრეამბულაში ნათქვამია, რომ თავად ქარტიის ტექსტი ემყარება „მოქალაქეების უფლებას მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეთა წარმართვაში“, რაც „ერთ-ერთი დემოკრატიული პრინციპია, რომელსაც ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო იზიარებს“. ქარტიის მე-3 მუხლის (2) ნაწილი ეხება მოქალაქეთა შეკრებებს, რეფერენდუმებსა და მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის სხვა ფორმებს, სადაც ნათქვამია, რომ ადგილობრივი მმართველობის შესახებ ქარტიის კონცეფცია არანაირად არ იმოქმედებს ამ პროცედურების გამოყენებაზე. მე-5 მუხლში მოცემული კიდევ ერთი პრინციპი ამბობს, რომ „ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების ცვლილება არ უნდა განხორციელდეს შესაბამის ადგილობრივ თემებთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე, შესაძლოა რეფერენდუმის გზით, სადაც ეს ნებადართულია დებულებით“. ამასთან, ქარტია არ შეიცავს უფრო კონკრეტულ პრინციპებს ან წესებს ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის ფორმებსა და მოთხოვნებზე, თუმცა ისინი ამა თუ იმ გზით გამოიყენება ყველა წევრ ქვეყანაში.⁶⁵

მნიშვნელოვანი განსხვავებების გათვალისწინებით, თუ როგორ გამოიყენება მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ერთი და იგივე ამოცანები

⁶⁵ „მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ევროპაში“, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, 2011 წლის 21 სექტემბერი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

და მიზნები - კერძოდ, მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივ დემოკრატიაში და მათთვის ეფექტური ინსტრუმენტების უზრუნველყოფა - შესაძლებელია მიღწეულ იქნას სხვადასხვა ინსტრუმენტებითა და მეთოდებით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქალაქეთა მონაწილეობის წარმატებული მაგალითები ძალზე მრავალფეროვანია და მოიცავს ადგილობრივ არჩევნებს, რეფერენდუმს, მონაწილეობით ბიუჯეტირებას, საჯარო საკონსულტაციო შეხვედრებს, მოქალაქეთა კრებებს, პანელებსა და ფორუმებს, მერიის შეხვედრებს, უცხოელ რეზიდენტთა საბჭოებს, მოქალაქეთა ინიციატივებს, უბნისა და ახალგაზრდულ საბჭოებს, რასაც ემატება სხვადასხვა ონლაინ პლატფორმა ჩართულობის გასაძლიერებლად.

გერმანია

გერმანიაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზა, უპირველეს ყოვლისა, რეგულირდება Grundgesetz-ით ანუ ძირითადი კანონით, რომელიც ასახავს ადგილობრივი ავტონომიისა და თვითმმართველობის პრინციპებს. აღნიშნული კანონი, რომელიც 1949 წელს იქნა მიღებული, მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვან ავტონომიას ანიჭებს და მათ დამოუკიდებელი მართვის საშუალებას აძლევს ფედერალური და სახელმწიფო კანონმდებლობის ფარგლებში. ერთ-ერთი მთავარი საკანონმდებლო ინსტრუმენტი, რომელიც არეგულირებს ადგილობრივ თვითმმართველობებს გერმანიაში არის Kommunalverfassung, ანუ მუნიციპალური კონსტიტუცია. იგი ადგენს ადგილობრივი მთავრობების ორგანიზაციულ სტრუქტურას, მათ კომპეტენციებს და მოქალაქეთა მონაწილეობის პროცედურებს. იგი განსაზღვრავს ადგილობრივი საბჭოების, მერების და ადმინისტრაციული ორგანოების როლებსა და პასუხისმგებლობებს, რაც საფუძველს უყრის ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პროცესს. გერმანიაში ადგილობრივი თვითმმართველობის კანონის ძირითადი ასპექტები მოიცავს:⁶⁶

- მუნიციპალურ ავტონომიას: მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად მართონ საკუთარი საქმეები ფედერალური და სახელმწიფო კანონმდებლობის ფარგლებში. მათ აქვთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილებები ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ურბანული დაგეგმარება, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, საჯარო სერვისები და კულტურული საკითხები.
- კონსტიტუციური დაცვა: კანონი იცავს ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიას და ანიჭებს მას გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს. კანონის 28-ე მუხლი აღწერს ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპებს და უზრუნველყოფს, რომ მუნიციპალიტეტებს ჰქონდეთ საჭირო რესურსები თავიანთი ამოცანების შესასრულებლად.
- სამართლებრივი ჩარჩო: ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ბაზა ძირითადად რეგულირდება ფედერალური კანონმდებლობით, როგორცაა

⁶⁶ გერმანია, ევროპის რეგიონთა კომიტეტი, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).

მუნიციპალური კოდექსი (Gemeindeordnung) და სახელმწიფო კანონები. გერმანიის თითოეულ შტატს (ბუნდესლანდს) აქვს საკუთარი რეგულაციები ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურასთან, უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით.

გერმანიაში საკანონმდებლო ბაზას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს დეცენტრალიზებული მმართველობის, ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღებისა და მუნიციპალურ საქმეებში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. მონაწილეობის სხვადასხვა ფორმის საშუალებით, მოქალაქეებს შეუძლიათ აქტიური წვლილი შეიტანონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მაგალითად, მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა კარგად აპრობირებულ ინსტრუმენტებთან შედარებით, **თანამონაწილეობითი ბიუჯეტების კონცეფცია** შედარებით უფრო ახალია და ჯერ არ არის დანერგილი გერმანიის ყველა მუნიციპალიტეტში, სადაც მაცხოვრებლებს აქვთ შესაძლებლობა პირდაპირი გავლენა მოახდინონ სახელმწიფო სახსრების განაწილებაზე წინადადებების შეთავაზებით, პროექტებისა და ინიციატივებისთვის ხმის მიცემით. გერმანიაში მოქალაქეთა მონაწილეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი არის **ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების** ინსტიტუტი. ეს საბჭოები წარმოადგენენ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს, როგორცაა ახალგაზრდები, ხანდაზმულები და ეთნიკური უმცირესობები და უზრუნველყოფენ გავლენას იმ პოლიტიკასა და პროექტებზე, რომლებიც ზემოქმედებს შესაბამის თემებზე. საკონსულტაციო საბჭო ხელს უწყობს დიალოგს მოქალაქეებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის, რაც მოსახლეობას აძლევს საშუალებას აიღონ თავიანთ თემებზე მართვის სადავეები და წვლილი შეიტანონ ადგილობრივ მმართველობაში. აღნიშნული ორგანო ასრულებს საკონსულტაციო როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელს უწყობს სხვადასხვა პერსპექტივების განხილვას. როგორც აღმოჩნდა, გლიენიკეში, ბრანდენბურგის რაიონის პატარა მუნიციპალიტეტში, საკონსულტაციო საბჭოები (ახალგაზრდებისა და ხანდაზმულთა საბჭოების ჩათვლით) უფრო ხშირად გამოიყენება მოქალაქეების მიერ, ვიდრე სხვა ინსტრუმენტები, როგორცაა პეტიციები, რადგან ისინი უკვე არსებობს დიდი ხანია და კარგად გამოცდილია.⁶⁷ მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება წარადგინოს პეტიცია კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად ან ცვლილებების შესათავაზებლად, ისინი არც თუ ისე ხშირად გამოიყენება უარყოფის მაღალი მაჩვენებლის გამო. პეტიციები წარმოადგენს საკონსულტაციო ინსტრუმენტს და ხელისუფლებას არ აქვს მათი დამტკიცების ვალდებულება. მრავალი პეტიციის უარყოფა ხდება ადგილობრივი, ფედერალური და ევროკავშირის კანონმდებლობის გამო, რომელიც ზღუდავს პეტიციების მიზანშეწონილობას ან მათ განხორციელებას. როგორც გლიენიკეს მერმა აღნიშნა, მოქალაქეებმა შესაძლოა წარმოადგინონ იდეები, რომლებიც სხვაგვარად სიცოცხლისუნარიანია, თუმცა ხდება მათი უარყოფა სამართლებრივი შეზღუდვების გამო, რომელთა შესახებ მოქალაქეებს არ ჰქონდათ ინფორმაცია. ანალოგიურად, ობერჰაუზენში, გერმანიის პატარა მუნიციპალიტეტში, თანამდებობის პირმა პეტიციების გამოყენებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვინაიდან არ არსებობს პეტიციებზე რეაგირების

⁶⁷ ინტერვიუ დოქტორ ჰანს გ. ობერლაკთან, გლიენიკის მერთან, გერმანია, 4 მარტი 2024 წ.

ვალდებულება, ხშირად მოქალაქეები რჩებიან იმედგაცრუებულნი, თუკი ზედიზედ ხდება მათი წინადადებების უარყოფა.⁶⁸

მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია გერმანიის კანონმდებლობით, ობერჰაუზენმა დანერგა მოქალაქეთა მონაწილეობის ნებაყოფლობითი ინსტრუმენტი, ცნობილი სახელით **დიალოგის ტური**, რაც ადასტურებს მოქალაქეების პირდაპირი ჩართვის ხელშეწყობაზე მიმართულ ძალისხმევას. აღნიშნული ინიციატივა უზრუნველყოფს პლატფორმას მოქალაქეებისთვის, გააზიარონ თავიანთი მოსაზრებები, წინადადებები ან საჩივრები პირდაპირ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და იგი წარმატებით სარგებლობს. დიალოგის ტურების ინიცირება ხდება მერის მიერ კონკრეტული უბნების მოსახლეობაზე, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ შეხვდნენ ოფიციალურ პირებს ადგილობრივი პრობლემების განსახილველად და გადაწყვეტილებების შესათავაზებლად. როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ აღნიშნა,⁶⁹ ეს ინიციატივა, რომლის ინიცირება კოვიდის პანდემიამდე მოხდა, დღემდე წარმატებით სარგებლობს, რასაც მოწმობს მოქალაქეთა მაღალი ინტერესი და ოფიციალური პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ობერჰაუზენში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, მუნიციპალური ოფიციალური პირები პრიორიტეტს ანიჭებენ გამჭვირვალობას, პროექტების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად გავრცელებითა და მოქალაქეთათვის მონაწილეობის შესაძლებლობების უზრუნველყოფით. გამჭვირვალობა სცილდება ტრადიციულ მეთოდებს, როგორცაა გაზეთები, და მოიცავს კომუნიკაციას სოციალური ქსელების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების ინფორმირებულობას და ადგილობრივ საკითხებში ჩართულობას. თუმცა, გამოწვევები კვლავ რჩება, კერძოდ, არ არსებობს ხელისუფლების მხრიდან პეტიციებზე ან მონაწილეობის სხვა მექანიზმებზე საპასუხო მოქმედების ვალდებულება; შედეგად, ხდება მოქალაქეთა გარკვეული წინადადების უგულებელყოფა, რამაც შეიძლება შეასუსტოს საერთო ჩართულობა. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ინიციატივები, როგორცაა დიალოგის ტურები, წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითს და წარმოაჩენს ობერჰაუზენის მუნიციპალიტეტში მოქალაქეებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის პირდაპირი ჩართულობის პოზიტიურ შედეგებს.

ამრიგად, ადგილობრივი ავტონომიისა და თვითმმართველობის პრინციპები, რომლებიც ღრმად არის ჩადებული გერმანიის სამართლებრივ სისტემაში, ასახავს ქვეყნის ერთგულებას დემოკრატიული მმართველობისადმი, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების დეცენტრალიზებულ მიღებას და მოქალაქეთა მონაწილეობას. ხელისუფლების დეცენტრალიზაცია იძლევა გარანტიას, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს ადგილობრივ თემებზე, მიიღება რაც შეიძლება ახლოს იმ

⁶⁸ ინტერვიუ ჰენდრიკ დეტმერსთან, საბჭოს კომიტეტი - მოქალაქეთა მონაწილეობა, ობერჰაუზენი, გერმანია, 21 მარტი 2024.

⁶⁹ იგივე

მოქალაქეებთან, რომლებზეც ისინი ზემოქმედებს; ეს კი ხელს უწყობს მმართველობის პროცესში გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

პოლონეთი

ადგილობრივი მმართველობის გერმანიის მძლავრი საკანონმდებლო ჩარჩოს შემდეგ, პოლონეთის მიდგომა მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართ ანალოგიურად ითვალისწინებს დეცენტრალიზაციასა და საზოგადოების ჩართულობას. ადგილობრივი თვითმმართველობები **პოლონეთში**, როგორც წესი, დაყოფილია სამ დონედ: მუნიციპალიტეტები (გმინები), საგრაფოები (პოვიატები) და ვოივოდეშიპები (პროვინციები). თითოეულ დონეს განსაზღვრული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. მუნიციპალიტეტი არის ყველაზე მცირე ადმინისტრაციული ერთეული და აქვს ყველაზე პირდაპირი ჩართულობა მოქალაქეებთან.

პოლონეთში ადგილობრივი მმართველობის სამართლებრივ საფუძველს ადგენს პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც აღიარებს ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის მნიშვნელობას. კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ადგილობრივ თვითმმართველობებს, მათ შორის, მუნიციპალიტეტებს, ასახულია პოლონეთის ადგილობრივი მმართველობის აქტში, რომელიც ძალაში 1990 წელს შევიდა ქვეყნის დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ. მას შემდეგ, პოლონეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით ისეთი მექანიზმების დანერგვით, როგორცაა საჯარო კონსულტაციები, მოქალაქეთა კრებები, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, საკონსულტაციო საბჭოები და პირდაპირი სამოქალაქო ინიციატივები. აღნიშნული მექანიზმები მიზნად ისახავს გააძლიეროს გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.⁷⁰

ქალაქ კრაკოვის, პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მუნიციპალიტეტის მაგალითზე, მოქალაქეთა მონაწილეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი პოლიტიკისა და ინიციატივების ჩამოყალიბებაში. კრაკოვის ადგილობრივი ხელისუფლება რეგულარულად აწყობს **საჯარო კონსულტაციებს** ძირითად საკითხებზე, როგორცაა ურბანული განვითარება, ტრანსპორტის დაგეგმვა, გარემოს დაცვა და კულტურული ინიციატივები. ეს კონსულტაციები მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები შემოთავაზებულ პროექტებსა და პოლიტიკაზე. უფრო მეტიც, კრაკოვმა დანერგა **მონაწილეობითი ბიუჯეტირება**, რაც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს პირდაპირი გავლენა მოახდინონ იმაზე, თუ როგორ გამოიყოფა ქალაქის ბიუჯეტიდან თანხები კონკრეტული პროექტებისა და ინიციატივებისთვის. მონაწილეობითი ბიუჯეტირების საშუალებით, მოქალაქეებს შეუძლიათ წარადგინონ

⁷⁰ “ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია პოლონეთში”, 2019 წლის 2 აპრილი, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

საპროექტო წინადადებები, ხმა მისცენ მათთვის სასურველ ინიციატივებს და ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღებაში დაფინანსების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით.

გარდა ამისა, კრაკოვის ადგილობრივი ხელისუფლება ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას სხვადასხვა საკონსულტაციო საბჭოებისა და კომიტეტების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია კონკრეტულ სფეროზე, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი და სათემო განვითარება. აღნიშნული საკონსულტაციო ორგანოები საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ითანამშრომლონ ადგილობრივ ოფიციალურ პირებთან, გააზიარონ თავიანთი გამოცდილება და წვლილი შეიტანონ იმ პოლიტიკისა თუ პროგრამების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, რომლებიც ასახავს საზოგადოების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

პოლონეთის ადგილობრივი მმართველობის ექსპერტის აზრით, კრაკოვში და ზოგადად პოლონეთში, ყველაზე პოპულარულია მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთი ფორმები, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლებისთვის სავალდებულო ხასიათი აქვთ. მათ შორისაა მონაწილეობითი ბიუჯეტირება (PB) და სამოქალაქო პანელები. სამოქალაქო პანელები რამდენჯერმე მოეწყო კრაკოვში და წარმატებული აღმოჩნდა - დაფიქსირდა მაცხოვრებლების მაღალი აქტივობა, რაც დაახლოებით 50%-ს აღწევდა. თუმცა, მეთოდოლოგიური საკითხების გამო (როგორცაა ხანგრძლივი პროცესი და სათანადო წარმომადგენლობის აუცილებლობა), პანელების ორგანიზება ნაკლებად ხელსაყრელია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის.

მეორე მხრივ, მონაწილეობითი ბიუჯეტირება პოლონეთში 2011 წელს მისი გაჩენის დღიდან გავრცელდა. ამჟამად, იგი დანერგილია მუნიციპალიტეტების თითქმის 44%-ში. ამ ინსტრუმენტის პოპულარობამ აიძულა მთავრობა 2018 წლიდან იგი ყველა დიდი ქალაქისთვის სავალდებულო გაეხადა. ცენტრალურმა მთავრობამ შემოიღო წესი, რომელიც ავალდებულებს დიდ ქალაქებს თავიანთი ბიუჯეტის მინიმუმ 0.5% მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინიციატივებისთვის გამოყოს. მოქალაქეთა მონაწილეობის წახალისების შედეგად, მონაწილეობითი ბიუჯეტირება ასევე განიხილება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ თვითრეკლამირების სასარგებლო საშუალებად. რაც შეეხება მოქალაქეთა ჩართულობის სხვა უფრო ინსტიტუციონალიზებულ საბაზისო ფორმას - საჯარო კონსულტაციებს მოქალაქეები მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როცა განსახილველი თემები უშუალოდ მათ ეხება. სხვა შემთხვევებში, საჯარო კონსულტაციები ნაკლებად გამოიყენება.⁷¹

⁷¹ ინტერვიუ დოქტორ მიხალ დულაკთან, ადგილობრივი მმართველობის - სისტემის და საჯარო პოლიტიკის ექსპერტი, იაგელონის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი. 2024 წლის 27 მარტი.

იტალია

მონაწილეობით მმართველობაში პოლონეთის პროგრესის შემდეგ, იტალიის საკანონმდებლო ჩარჩო ხაზს უსვამს ადგილობრივი ავტონომიისა და მოქალაქეების ჩართულობის მნიშვნელობას, რითაც ხელს უწყობს ხელსაყრელი გარემოს შექმნას კოლაბორაციული მმართველობის ინიციატივებისთვის. ადგილობრივი მმართველობის საკანონმდებლო ბაზა ეფუძნება 1948 წლის კონსტიტუციას, რომელიც აღიარებს ადგილობრივ ავტონომიას და თვითმმართველობას. კანონი 142/1990 განსაზღვრავს უფლებამოსილებების განაწილებას ცენტრალურ ხელისუფლებას, რეგიონებს, პროვინციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივი დემოკრატიისა და მოქალაქეების მონაწილეობის გაძლიერებას. მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა რეფორმებმა და საკანონმდებლო ცვლილებებმა გააძლიერა ადგილობრივი ავტონომია და უზრუნველყო უფლებამოსილებების დეცენტრალიზაცია საზოგადოების საჭიროებების უფრო ეფექტურად გადასაჭრელად. ეს სამართლებრივი რეფორმები ხაზს უსვამს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და ადგილობრივ დონეზე დემოკრატიულ მონაწილეობას.⁷²

ბოლო 20 წლის განმავლობაში, იტალიაში დაინერგა მონაწილეობითი პრაქტიკა და ნორმატიული ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს უწყობს საერთო რესურსების კოლაბორაციულ მართვას და გავრცელდა სხვადასხვა ურბანულ კონტექსტში, როგორცაა ბოლონია, მილანი, ტურინი და ნეაპოლი. ეს პროცესი, რომელიც ემსახურება მონაწილეობითი პრაქტიკის განვითარებას, დაიწყო ადრეული 1990-იანი წლების გაეროს 21-ე დღის წესრიგის რეკომენდაციებით და განხორციელდა EC URBAN პროექტების საშუალებით, რომლებმაც მრავალი მონაწილეობითი პრაქტიკის ევროპის ყველა დიდ ქალაქში მოსინჯვა გახადა შესაძლებელი.⁷³

იტალიის მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ ადგილობრივ მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა მექანიზმის მეშვეობით, როგორცაა *მონაწილეობითი ბიუჯეტირება, მოქალაქეთა კრება, საჯარო კონსულტაციები და საკონსულტაციო საბჭოები.*

იტალიაში ჩატარებულმა კვლევებმა⁷⁴ გამოავლინა მოქალაქეთა მონაწილეობის რამდენიმე წარმატებული მექანიზმი, რომლებმაც გააძლიერეს ადგილობრივი მმართველობა და საზოგადოების ჩართულობა. ბოლონიაში თავი დაიმკვიდრა, როგორც იტალიაში საჯარო

⁷² “ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია იტალიაში”, 2017 წლის 18 ოქტომბერი, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁷³ ჯულია პიეტროლეტი, “მონაწილეობითი მმართველობიდან სამოქალაქო კოლაბორაციამდე ურბანულ თემებში: რომის მუნიციპალიტეტიდან ქეისი შესწავლა”, Studia Regionalia: პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, სივრცითი ეკონომიკისა და რეგიონული დაგეგმვის კომიტეტი და ევროპის რეგიონული სამეცნიერო ასოციაცია (ERSA). პოლონეთის შესახებ სექცია 52 (2017), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁷⁴ რობერტა ბარტოლეტი, ფრანკა ფაჩიოლი, “საზოგადოებრივი ჩართულობა, ადგილობრივი პოლიტიკა და მოქალაქეთა მონაწილეობა: სამოქალაქო თანამშრომლობის იტალიური ქეისის შესწავლა”, 14 სექტემბერი, 2016, Sage Journals, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

რესურსების მართვის კუთხით განვითარების ყველაზე კარგმა მაგალითმა. 2014 წლის მაისში, ბოლონის საქალაქო საბჭომ მიიღო „რეგლამენტი ურბანული აქტივების მოვლისა და რეგენერაციის საკითხზე მოქალაქეებსა და ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობის შესახებ“. ეს რეგულაცია ხელს უწყობს მოქალაქეებსა და მუნიციპალურ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობას, ხაზს უსვამს „ჰორიზონტალური სუბსიდიარობის“ პრინციპს, რათა წახალისოს მოქალაქეთა ინიციატივები საერთო სიკეთისთვის. რეგულაციის გამოყენების გასაადვილებლად, ბოლონიამ შეიმუშავა „**თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება**“, რომელიც არეგულირებს როგორც მოქალაქეების, ისე ადმინისტრაციის პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს კონკრეტულ ურბანულ აქტივებთან მიმართებით. მოქალაქეებისა და ადმინისტრაციის მიერ „ურბანული აქტივის“, როგორც კოლექტიური კეთილდღეობისთვის განკუთვნილი საგნის განსაზღვრით, შეთანხმება მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ამ აქტივებით კოლექტიური სარგებლობა საერთო პასუხისმგებლობის აღებით.

თანამშრომლობის შესახებ პირველ შეთანხმებას ბოლონიაში ხელი 2014 წლის სექტემბერში მოეწერა, ხოლო 2015 წლის დეკემბრისთვის მათი რაოდენობა თითქმის 200 იყო (ინსტიტუციონალურ საქმეთა და ოლქების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პირადი ელ.წერილი). ბოლონიის რეგულაცია გახდა ორიენტირი ყველა იმ გამოცდილებისთვის, რომელიც შემდგომში განვითარდა ეროვნულ დონეზე. ეს განაპირობა არა მხოლოდ იმ ფაქტმა, რომ შეთანხმების მიღება პირველად აქ მოხდა, არამედ იმანაც, რომ მისი პრაქტიკული გამოყენება მნიშვნელოვნად განვითარდა, რაც უნიკალური შემთხვევა იყო იტალიაში. ბოლონიის შემდეგ, იტალიის დამატებით 68 მუნიციპალიტეტმა მიიღო რეგულაციები კოლაბორაციული მმართველობის შესახებ, ხოლო კიდევ 82-ში მიმდინარეობს მიღების პროცესი.⁷⁵

როგორც ბოლონიის კოლაბორაციული მართვის შესწავლამ გამოავლინა, აღნიშნული მოდელი ხაზს უსვამს მოქალაქეთა ჩართულობის პროცესს, რომელშიც ადგილობრივ მართვაში სამოქალაქო მონაწილეობის მასშტაბი უფრო გაფართოებულია. ეს მიიღწევა მოქალაქეთა ხმის გაძლიერებით და საზოგადოებრივი სიკეთის ცნებაზე დაფუძნებული სამოქალაქო პრაქტიკის დანერგვით. შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო თანამშრომლობის პროექტების კონკრეტულობა, მათი სიახლოვე ჩართული მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებასთან და თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული შეთანხმების შესაძლებლობა, მოახდინოს ხელშესახები და მყისიერი გავლენა სოციალურ გარემოზე, არის ელემენტები, რომლებსაც შეუძლიათ გააძლიერონ მოქალაქეების ნდობა მუნიციპალური ადმინისტრაციის მიმართ, რაც ამცირებს "ეფექტიანობის პრობლემას".

ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების კიდევ ერთი კარგი მაგალითია ვიჩენცა, შედარებით პატარა მუნიციპალიტეტი იტალიაში, სადაც მოხდა **საუბნო საბჭოების** სტრუქტურის გადახედვა. აღნიშნული საბჭოები მიზნად ისახავს

⁷⁵ იგივე

წახალისოს მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ფოკუსით უბანში არსებული კონკრეტული საკითხების მოგვარებასა და ადგილობრივი საჭიროებების გადაწყვეტაზე.

2024 წლის იანვარში მერმა ჯაკომო პოსამაიმ და მრჩეველმა მატეო ტოსეტომ წარადგინეს პროექტი, რომელიც შემუშავდა საკრებულოს უმრავლესობისა და სამუშაო ჯგუფის თანამშრომლობით. მიზანია შეიქმნას უბნის მონაწილეობითი ორგანოები, რომლებიც ზუსტად წარმოადგენენ ადგილობრივ ტერიტორიას; შთაგონების წყაროს წარმოადგენს გამოცდილება მსგავსი ქალაქებიდან, როგორცაა პადუა და ბრეშია. ვიჩენცაში სულ 10 უბნის საბჭო იქნება, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ქალაქის კონკრეტულ ტერიტორიას. მათ ექნებათ საკონსულტაციო და სარეკომენდაციო როლი მათ უბნებთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორცაა საზოგადოებრივი სამუშაოები, ღონისძიებები, მწვანე სივრცეების მართვა. თითოეულ საბჭოში იქნება 12 წევრი, რომელთაგან 9 წევრს აირჩევს ქალაქის საკრებულო, 3 კი არჩეული იქნება სხვადასხვა ადგილობრივი ერთეულის წარმომადგენლებისგან. თითოეულ საუბნო საბჭოს უხელმძღვანელებს პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტი, მათ ექნებათ უფლება შექმნან თემატური კომიტეტები კონკრეტულ სფეროებზე ფოკუსირებისთვის. საბჭოს წევრები იმუშავებენ მოხალისეობრივ საწყისზე, უსასყიდლოდ. გარდა ამისა, შეიქმნება “საუბნო ქსელის ცხრილი“, რომელშიც შევა ყველა შესაბამისი ადგილობრივი ერთეული; ასევე შეიქმნება საუბნო საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მუნიციპალურ დონეზე საქმიანობას და რომელშიც შევლენ სხვადასხვა საბჭოების პრეზიდენტები.⁷⁶

ინოვაციური მიდგომები, როგორცაა ვიჩენცაში რესტრუქტურული საუბნო საბჭოები, მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ხელს უწყობენ მოქალაქეების აქტიურ ჩართულობას, უბანში არსებული კონკრეტული პრობლემების მოგვარებას და საბოლოოდ, უფრო ინკლუზიურ და ეფექტურ ადგილობრივ მმართველობას.

ბელგია

თუკი გავაგრძელებთ კოლაბორაციული მმართველობის კონცეფციას, იტალიის მსგავსად, ბელგიის დეცენტრალიზებული სტრუქტურა აკეთებს აქცენტს ადგილობრივ ავტონომიაზე და ხელს უწყობს მოქალაქეთა მონაწილეობასა და ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს. ბელგიის გზა უნიტარული სახელმწიფოდან რთულ ფედერალურ სტრუქტურამდე ასახავს ლინგვისტური, კულტურული და რეგიონული განსხვავებების რთულ ურთიერთკავშირს. ფლამანდიურ და ფრანგულ თემებს შორის დამაბულოვამ გამოიწვია მთელი რიგი სახელმწიფო რეფორმები 1970-იანი წლებიდან, რამაც შედეგად მოიტანა ფედერალური სისტემა გადაფარვითი კომპეტენციებით. ფლამანდიურ, ფრანგულ და გერმანულენოვან თემებს, ფლამანდიურ, ვალონურ და ბრიუსელის რეგიონებთან ერთად, თითოეულს აქვს საკუთარი პარლამენტი

⁷⁶ “ვიჩენცას საკრებულოს ახალი ამბები,” ვიჩენცას საკრებულო, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

და მთავრობა. ამგვარი ასიმეტრიული ფედერალიზმი ითვალისწინებს ავტონომიის განსხვავებულ ხარისხს სხვადასხვა რეგიონებსა და თემებში და ქმნის ბელგიის პოლიტიკურ ლანდშაფტს.⁷⁷

რეგიონულ დონეზე, ბელგია დაყოფილია სამ განსხვავებულ ერთეულად: ფლანდრია, ვალონია და ბრიუსელი. თითოეულ რეგიონს ჰყავს საკუთარი პარლამენტი და მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია რეგიონულ პოლიტიკასა და ადმინისტრირებაზე. აღსანიშნავია, რომ სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ფლამანდიურმა რეგიონმა და თემმა გააერთიანეს თავიანთი კომპეტენციები. პროვინციები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, მოქმედებენ როგორც დეცენტრალიზებული პოლიტიკური თემები, ახორციელებენ უფრო მაღალ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ამავდროულად, ატარებენ საკუთარ პოლიტიკას თავიანთი ინტერესის სფეროში. მუნიციპალიტეტები, რომელთა რაოდენობა ქვეყანაში 581-ს შეადგენს, წარმოადგენენ მოწინავე ადმინისტრაციულ ერთეულებს, რაც კიდევ უფრო ახდენს ბელგიის მმართველობის სტრუქტურის დივერსიფიკაციას.⁷⁸

ბელგიაში, ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ემყარება დეცენტრალიზაციის პრინციპს და მნიშვნელოვან ავტონომიას ანიჭებს მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებს. ქვეყანაში მოქმედებს ფედერალური სისტემა, რომლის ფარგლებშიც ძალაუფლება ნაწილდება ფედერალურ მთავრობას, სამეწიფო რეგიონს (ფლამანდური, ვალონური და ბრიუსელი-დედაქალაქი) და თემებს შორის (ფლამანდური, ფრანგული და გერმანულენოვანი). ბელგიის ადგილობრივი მთავრობები, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტები, სარგებლობენ მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით მმართველობის სხვადასხვა ასპექტებზე, მათ შორის ურბანულ დაგეგმარებაზე, საჯარო სერვისებსა და კულტურის საკითხებზე.⁷⁹

ბელგიის ადგილობრივი მმართველობა ემყარება კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც ხაზს უსვამს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივ ავტონომიას. მუხლები, რომლებიც ეხება ადგილობრივ ხელისუფლებას ბელგიის კონსტიტუციასა და სხვა კანონებში, როგორცაა 1980 წლის ინსტიტუციური რეფორმის სპეციალური აქტი და 1836 წლის მუნიციპალური აქტი, ადგენს ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურას, ფუნქციებსა და ავტონომიას. ეს საკანონმდებლო ჩარჩოები ხაზს უსვამს ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპს და მუნიციპალიტეტებს ანიჭებს თავისუფლებას, თავად მართონ საკუთარი საქმეები. ინსტიტუციური რეფორმის შესახებ 1980 წლის სპეციალურმა აქტმა კიდევ უფრო გააძლიერა დეცენტრალიზაციის ძალისხმევა, რის შედეგადაც ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი ავტონომია და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მიენიჭა.⁸⁰

⁷⁷ ბელგია, უფლებამოსილების განაწილება, რეგიონების კომიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁷⁸ იგივე

⁷⁹ იგივე

⁸⁰ იგივე

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა მხარდაჭერილია ბელგიის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა მექანიზმით. მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა **ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოები ან კომიტეტები**, სადაც მაცხოვრებლებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, წამოაყენონ პრობლემები და გააზიარონ იდეები იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება მათ თემებს. ეს საბჭოები ხშირად ყურადღებას ამახვილებენ კონკრეტულ საკითხებზე, როგორცაა გარემოს მდგრადობა, ახალგაზრდული საქმეები ან კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება. მონაწილეობის სხვა ფორმები მოიცავს **საუბნო საბჭოებს, საჯარო კონსულტაციებს და მოსმენებს, მოქალაქეთა კრებებს და ფორუმებს, მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინიციატივებს**.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც მონაწილეობითი დემოკრატია წახალისებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, მონაწილეობითი ბიუჯეტირება ფართოდ მიიჩნევა საუკეთესო პრაქტიკად. ბელგიაში, რამდენიმე მუნიციპალიტეტმა, მათ შორის მონსმა და ანტვერპენმა, განახორციელეს ინიციატივები მონაწილეობითი ბიუჯეტირების დასაწერად. ბრაზილიაში წარმოშობილი მოდელით შთაგონებულმა, მონსმა 2002 წელს დაწერა მონაწილეობითი ბიუჯეტირება შერჩეულ რაიონებში, თუმცა წააწყდა გამოწვევებს, როგორცაა გამჭვირვალობის საკითხები, ადმინისტრაციული სირთულეები და გადაწყვეტილების მიღების ბუნდოვანი სტრუქტურა. მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, ინიციატივა იქცა მაგალითად, რომელმაც უზიძგა ვალონის მთავრობას 2012 წელს მიეღო კანონმდებლობა ყველა მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების შესაძლებლობის შესახებ, რამაც უზრუნველყო მნიშვნელოვანი ავტონომია განხორციელებისა და შედგენის პროცესში. ანალოგიურად, ანტვერპენმა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი 2014 წელს წამოიწყო, რამაც მოქალაქეებს საშუალება მისცა მიემართათ რაიონის ბიუჯეტის ნაწილი სხვადასხვა პოლიტიკის თემებზე.⁸¹ გარდა ამისა, მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინიციატივებმა ქალაქებში, როგორცაა გენტი და ანტვერპენი, მისცა მაცხოვრებლებს უფლება გამოეყობთ სახსრები პროექტებისთვის, რომლებიც პასუხობდა თემის საჭიროებებს.

ბრიუსელის ეტერბეკის რაიონში მოქალაქეთა მონაწილეობა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. მათ შორის არის კონკრეტული ჯგუფების საბჭოები, რომლებიც ეხმებიან სხვადასხვა პოპულაციის საჭიროებებს. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთადმი მიძღვნილი საბჭოების არსებობა ხაზს უსვამს რაიონის ერთგულებას ინკლუზიურობის მიმართ. პეტიციები და კონსულტაციები წარმოადგენს არხებს მოქალაქეებისთვის, გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები საზოგადოებრივ საკითხებზე. ამასთან, პეტიციებს არ აქვს ხშირი ხასიათი და 2023 წელს მხოლოდ სამი პეტიცია დარეგისტრირდა, კონსულტაციები კი უფრო რეგულარულად ტარდება. აღსანიშნავია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების (PB) ინიციატივამ, რომელიც 2022 წლის სექტემბერში განხორციელდა, მნიშვნელოვანი ჩართულობა

⁸¹ იან ვან დამი, ვინსენტ ჟაკე, ნატალი შიფინო და მინ როუშამსი, "საჯარო კონსულტაცია და მონაწილეობა ბელგიაში: მოქალაქეების პირდაპირი ჩართვა საარჩევნო ყუთის მიღმა?" ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

უზრუნველყო. ეტერბეკის მუნიციპალიტეტის ოფიცერმა მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებში აღნიშნა, რომ მიღებულ იქნა 66 წინადადება, რომელთაგან განსახორციელებლად 8 შეირჩა. გარდა ამისა, უცხოელ რეზიდენტთა საბჭოს შექმნა ადასტურებს ინკლუზიურობისა და ინტეგრაციის მხარდაჭერას, რაც გამოიხატება უცხოელი მაცხოვრებლების საზოგადოებრივ აქტივობებსა და კულტურულ ღონისძიებებში ჩართვით (ეთერბეკის მოსახლეობის 50% უცხო ქვეყნის მოქალაქეა).⁸²

მოქალაქეთა მონაწილეობის გამოწვევებზე საუბრისას, ბრიუსელში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ურბანული განახლების საკითხებში მუნიციპალური მრჩეველი გამოყოფს მოქალაქეთა მონაწილეობასთან დაკავშირებულ რამდენიმე პრობლემას, რომლებიც ეხება *აღქმასა და მოლოდინებს*. მოქალაქეთა ნაწილს შესაძლოა არ ჰქონდეს სრულყოფილი აღქმა მონაწილეობის მიზნის ან პროცესის შესახებ, რაც იწვევს მცდარ წარმოდგენას და იმედგაცრუებას, თუკი არ მიიღწევა კონსენსუსი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, განიმარტოს მონაწილეობის მიზნები და არსი, ხაზი გაესვას მონაწილეობის, როგორც განხილვის საშუალების და არა მხოლოდ კონსენსუსის მიღწევის როლს.⁸³

მოქალაქეთა ჩართულობის შემდგომი წახალისებისთვის, არსებითად მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ძალისხმევა სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩასართავად. ეს ადასტურებს ერთგულებას ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის მიმართ. გარდა ამისა, ხელისუფლების მზაობა მოისმინოს მოქალაქეთა უკუკავშირი და განახორციელოს შერჩეული წინადადებები, ქმნის ნდობას და ხელს უწყობს მუდმივ ჩართულობას. მოქალაქეთა ინფორმირებამ მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ, ასევე მონაწილეობის ისეთი არხების უზრუნველყოფამ, როგორცაა ქვეითად მოძრაობის დიაგნოსტიკა, შესაძლოა ხელი შეუწყოს ბარიერების გადალახვას და საშუალება მისცეს მოქალაქეებს ჩაერთონ საზოგადოებრივ საკითხებში. *“Good Move”* ინიციატივის ფარგლებში დიაგნოსტიკა მოიცავს ქვეითთა ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების შეფასებას ბრიუსელის კონკრეტულ რაიონებში. ამ დიაგნოსტიკის მიზანია გამოავლინოს საკითხები, რომელთა გაუმჯობესება შექმნის უკეთეს გამოცდილებას ქვეითთათვის, ხელს შეუწყობს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას და შედეგად, უფრო მეტ ადამიანს წახალისებს, ტრანსპორტირების საშუალებად ფეხით სიარული აირჩიონ. მოქალაქეთა ჩართულობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ პროცესში მოქალაქეთა მიერ ღირებული შეხედულებების, უკუკავშირისა და ქვეითთა რანგში საკუთარი გამოცდილების გაზიარებით.⁸⁴

⁸² ინტერვიუ მარი-შარლოტა ჰელდენბერგთან, მოქალაქეთა მონაწილეობის ოფიცერთან, ეტერბეკი, ბრიუსელი, ბელგია, 7 მარტი 2024.

⁸³ ინტერვიუ არნო პინქსტერენთან, მერის საბჭოს, მცირეწლოვან ბავშვთა, მოქალაქეთა მონაწილეობისა და ურბანული განახლების მრჩეველთან, ბრიუსელი, ბელგია, 2024 წლის 21 მარტი

⁸⁴ ინტერვიუ მარი-შარლოტა ჰელდენბერგთან, მოქალაქეთა მონაწილეობის ოფიცერთან, ეტერბეკი, ბრიუსელი, ბელგია, 2024 წლის 7 მარტი.

საფრანგეთი

ანალოგიურად, საფრანგეთის მოქალაქეთა მონაწილეობისა და საკანონმდებლო რეფორმების ისტორია ეხმიანება ბელგიის სვლას ფედერალიზმისკენ და ხაზს უსვამს როგორც ძალაუფლების დეცენტრალიზაციას, ისე ადგილობრივი თემების გაძლიერებას. საფრანგეთს აქვს ადგილობრივ მმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხანგრძლივი ისტორია, რომელიც საფრანგეთის რევოლუციიდან იწყება. მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის 72-ე და 72-1 მუხლები ადგენს ადგილობრივი ავტონომიის პრინციპებს და აღწერს ადგილობრივი ხელისუფლების მოწყობასა და უფლებამოსილებებს. საფრანგეთში დეცენტრალიზაციის პროცესი, რომელიც 1980-იან წლებში დაიწყო და კიდევ უფრო 2000-იან წლებში გაძლიერდა, მიზნად ისახავდა უფლებამოსილების გადაცემას ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივ ხელისუფლებაზე და შედეგად, ადგილობრივ საჭიროებებზე უკეთ რეაგირებას.⁸⁵

ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვანი კანონმდებლობაა 2002 წლის Loi Démocratie de Proximité (დეცენტრალიზაციისა და სიახლოვის დემოკრატიული აქტი), რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი დემოკრატიის განმტკიცებას ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთათვის უფრო მეტი როლის მინიჭებით. კანონები, როგორცაა 2015 წლის Loi NOTRe, კიდევ უფრო აძლიერებს ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობებს, ხელს უწყობს გადაწყვეტილებების დეცენტრალიზებულ მიღებას და მოქალაქეთა ჩართულობას. ეს კანონები ითვალისწინებს მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმებს, მათ შორის საჯარო კონსულტაციებს, მონაწილეობით ბიუჯეტირებას, მოქალაქეთა საბჭოებს და საუბნო/რაიონულ საბჭოებს.⁸⁶

საფრანგეთში ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა მოქალაქეთა მონაწილეობის რამდენიმე წარმატებული მექანიზმი, რომლებმაც გამოიწვია ადგილობრივ დონეზე ჩართულობისა და მონაწილეობის გაძლიერება. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ნანტის შემთხვევა, სადაც ქალაქმა დანერგა ყოვლისმომცველი მონაწილეობითი მმართველობის მოდელი - „კოლაბორაციული მმართველობა“;⁸⁷ რომელმაც უზრუნველყო მოქალაქეების ჩართვა ურბანული დაგეგმარების, გარემოს მდგრადობისა და სოციალური ინკლუზიის ინიციატივებში. ონლაინ პლატფორმების, საჯარო შეხვედრებისა და ვორქშოპების მეშვეობით, მოსახლეობას შეეძლო თავისი იდეებისა და უკუკავშირის გაზიარება, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა მათი ქალაქის

⁸⁵ ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია საფრანგეთში, 2016 წლის 22 მარტი, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁸⁶ Veli Ercan Çetintürk და Vehbi Alpaly Günel, "საუბნო საბჭოები, როგორც ადგილობრივი მონაწილეობის პრაქტიკა: საფრანგეთის ქეისი", ჟურნალის სათაური 6, No. 2 (2023), ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

⁸⁷ სტივენ გრიგსი, დევიდ ჰოვარტი და ანდრეს ფენდერიო, "კოლაბორაციული მმართველობის ლოგიკა და საზღვრები ნანტში: მითი, იდეოლოგია და ახალი ურბანული რეჟიმის პოლიტიკა", ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

განვითარების გზა.⁸⁸ ღია და კოლაბორაციული მმართველობის მოდელმა 2019 წელს ევროკომისიის აღიარება დაიმსახურა, როცა ნანტს ევროპის ინოვაციების დედაქალაქის ტიტული მიენიჭა.⁸⁹ გარდა ამისა, 2020 წლის ნოემბერში, ნანტის ადგილობრივი მთავრობების ინიციატივით შედგა **მოქალაქეთა შეკრება**, რომელშიც ჩართული იყო 80 მოქალაქე 24 ქალაქიდან, რათა განეხილათ ჯანდაცვის კრიზისის გავლენა. ლოქდაუნის მიუხედავად, მერმა იოჰანა როლანდმა ხაზი გაუსვა მონაწილეობითი დემოკრატიის შენარჩუნების მნიშვნელობას და შეკრება ონლაინ ფორმატში გადაიტანა. როლანდი მოქალაქეთა დიალოგს ეფექტური მმართველობისთვის არსებით ინსტრუმენტად მიიჩნევდა, განსაკუთრებით კრიზისის დროს. შეკრება, რომელიც მიმდინარეობდა ოთხ შაბათ-კვირას ნოემბრიდან თებერვლამდე, მიზნად ისახავდა პანდემიის სოციალური და ეკონომიკური შედეგების შესწავლას. როლანდმა ხაზი გაუსვა ისეთი საკითხების გადაჭრის აუცილებლობას, როგორცაა სოციალური პირობების ცვლილება, ეკონომიკური არასტაბილურობა და უმუშევრობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. მოქალაქეთა შეკრება ნანტში განასახიერებდა ერთგულებას ინკლუზიური მმართველობისა და მოქალაქეთა გაძლიერებისადმი და მიზნად ისახავდა ჯანდაცვის კრიზისით გამოწვეული რთული პრობლემების დამლევას.⁹⁰

ქალაქ პარიზში ასევე გამოიყენებოდა მონაწილეობის სხვა წარმატებული ფორმები. პლატფორმის წარმოდგენით, რომელიც მოიცავდა პირობებს მუნიციპალურ მმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად, ენ ჰიდალგომ სოციალისტური პარტიიდან გაიმარჯვა 2014 წლის მერის არჩევნებში და მისმა ადმინისტრაციამ უმღვე დაიწყო მონაწილეობისა და ჩართულობის სხვადასხვა არხების დანერგვა. მონაწილეობის ზოგიერთი ფორმა არსებობდა ჰიდალგოს მერობამდე, როგორცაა *"Conseil des quartiers"* (უბნის საბჭო), *"Conseil Parisien de la Jeunesse"* (ახალგაზრდული საბჭო) და *"Étudiants de Paris - le Conseil"* (პარიზის სტუდენტთა საბჭო). თუმცა, შეიქმნა კიდევ უფრო მეტი, მათ შორის:

სათათბირო ფორუმები:

- „Conseil des Générations Futures“ (მომავლის თაობის საბჭო): ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე დისკუსიისა და დებატების სივრცე, სადაც პროფკავშირებს, საჯარო მოხელეებს, ასოციაციებს და შემთხვევით შერჩეულ მოქალაქეებს შეუძლიათ გააჟღერონ თავიანთი ხმა;
- „Conseil des Citoyens“ (სამოქალაქო საბჭო): სათათბირო სივრცე მოქალაქეებისთვის დაბალშემოსავლიანი უბნებიდან („Quartier Populaires“), რომლებიც ამგვარად განსაზღვრულია ქალაქის მიერ;

⁸⁸ ანდრეს ფეანდერო, სტივენ გრიგსი და დევიდ ჰოვარტი, „ნანტი და კოლაბორაციული მმართველობა: მონაწილეობა - ეს ჩვენს დნმ-შია“, 2017 წლის 26 აპრილი, ურბანული კვლევის ცენტრი, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.

⁸⁹ ნანტი - 2019 წლის ევროპის ინოვაციების დედაქალაქი, 2019 წლის 25 სექტემბერი, ევროკომისია, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁹⁰ “მონაწილეობითი დემოკრატია უნდა გაგრძელდეს კრიზისის ამ მომენტებში”, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

- „Conférence de citoyens“ (მოქალაქეების კონფერენციები): ეს არის მოქალაქეთა კრებების მსგავსი.
- ნოქტურნის საბჭო: ორიენტირებულია პარიზში უსაფრთხოებაზე, ტრანსპორტზე, კულტურასა და კომერციაზე ღამის საათებში.

მონაწილეობითი ურბანული განვითარება

2014 წლიდან პარიზმა შეიმუშავა სხვადასხვა ფორმა მოქალაქეების ჩასართავად ურბანულ განვითარებაში ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით, სახელწოდებით „სამოქალაქო ტექნოლოგია“.⁹¹ აღნიშნული ციფრული ინსტრუმენტები არა მხოლოდ ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და სწრაფ რეაგირებას, არამედ ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესის დემოკრატიზაციას ადგილობრივ მმართველობაში მრავალფეროვანი ხმების გათვალისწინებით. მაგალითები მოიცავს:

- “Jemengage.paris” (“მე ვმონაწილეობ”) არის აპლიკაცია, რომელიც აკავშირებს მოქალაქეებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან მოკლევადიანი მისიების ფარგლებში მათი ლოკაციის, ინტერესებისა და ხელმისაწვდომობის მიხედვით;
- Dans Ma Rue (“შეაკეთეთ ჩემი ქუჩა”) არის მოქალაქეთა მიერ შეტყობინების დაფიქსირების აპლიკაცია, რომელიც საშუალებას აძლევს მოსახლეობას გააფრთხილოს ქალაქი ისეთი პრობლემების შესახებ, როგორცაა ორმოები, დაზიანებული მოედნები, საგზაო ნიშნები და ა.შ. მომხმარებლებს შეუძლიათ გაგზავნონ სურათები და მიიღონ შეტყობინებები მათ მოთხოვნაზე სამუშაოების პროგრესის შესახებ;
- “Madame la Maire, j’ai une idée” (“ქალბატონო მერო, იდეა მაქვს”) არის ციფრული კოლაბორაციული სივრცე, სადაც პარიზელებს შეუძლიათ სხვადასხვა თემაზე წარადგინონ იდეები მერიის მიერ განსახილველად. 2018 წლის მდგომარეობით, პლატფორმა უფრო მეტად წარმოადგენდა კატალოგს, სხვა ფორუმებისა (მაგ. მონაწილეობითი ბიუჯეტი, მოქალაქეთა საბჭოები) და მომავალი ღონისძიებების ბმულებით, სადაც მოქალაქეებს შეეძლოთ მონაწილეობა. თუმცა, 2020 წლიდან, მისი ფუნქციები ინტეგრირებულია ახალ პლატფორმაში decider.paris, რომელიც წარმოადგენს ძირითად ჰაბს პარიზში მოქალაქეთა ჩართულობისა და იდეების წარდგენისთვის;
- “Budget Participatif” (მონაწილეობითი ბიუჯეტი) არის ონლაინ და ოფლაინ პლატფორმა მოქალაქეებისთვის, იდეების წამოსადგენად და გადაწყვეტილებების გასაზიარებლად მუნიციპალური საინვესტიციო ფონდის გამოყოფის შესახებ.

საზოგადოების გაზრდილ მონაწილეობაზე მიმართული ადმინისტრაციული ძალისხმევის კონტექსტში, პარიზის “მონაწილეობითი ბიუჯეტი” არის კიდევ ერთი ფორმა, რომლის მეშვეობითაც პარიზელებს აქვთ შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ მუნიციპალური მმართველობის საკითხებზე. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პირველი ციკლი დაინერგა

⁹¹ მონაწილეობითი ბიუჯეტირება პარიზში, საფრანგეთში, Participedia, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

მალევე მერი ჰიდალგოს მიერ თანამდებობის დაკავებიდან; მისი ბიუჯეტი იყო შედარებით მოკრძალებული და მოქალაქეებს მხოლოდ საკრებულოს მიერ წარდგენილ საპროექტო წინადადებებზე ხმის მიცემის უფლებას აძლევდა. მიუხედავად ამისა, პარიზელებმა მონაწილეობის მიმართ დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინეს, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ 40,000-ს გადააჭარბა. ეს საპილოტე ინიციატივა წარმატებული აღმოჩნდა - ბიუჯეტი ყოველწლიურად სტაბილურად იზრდებოდა 100 მილიონი ევროდან 500 მილიონ ევრომდე⁹². აღნიშნულმა გამოიწვია მისი გაფართოება ქალაქის მასშტაბით და ახლა ინსტრუმენტი პარიზელებს მრავალ შესაძლებლობას სთავაზობს იმისთვის, რომ ჩაერთონ საჯარო სახსრების განაწილებაში.⁹³

როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხებში ექსპერტი (და პარიზის მერის ყოფილი მრჩეველი, ციფრული სტრატეგიისა და ღია მმართველობის სპეციალიზაციით) აღნიშნავს, PB-ს შეიძლება ჰქონდეს ტრანსფორმაციული გავლენა გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან მოქალაქეები ეცნობიან ამ პროცესს, იგებენ, თუ როგორ ეხმარება ბიუჯეტირება მათ, გაერკვენ ქალაქების ფუნქციონირებაში.⁹⁴

ამისგან განსხვავებით, მონაწილეობის სხვა ფორმები, როგორცაა საუბნო საბჭოები, ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა პარიზში. „ორგანიზაციული გამოწვევები და მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლები მას ნაკლებად პრაქტიკულ ვარიანტად აქცევს, განსაკუთრებით პარიზელების განსხვავებული წარმომავლობისა და პოლიტიკური შეხედულებების ფონზე. ის ვერ უზრუნველყოფს ქალაქის ყველა თემის სათანადოდ წარმოდგენას. მონაწილეობის ამ ფორმის გამოყენებისას, სხვადასხვა სოციალური ფენიდან თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა ქალაქის ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება“.⁹⁵

გარდა ამისა, მოქალაქეთა მონაწილეობისთვის ინოვაციური ციფრული პლატფორმების ხელშეწყობის მცდელობის მიუხედავად, პარიზი წააწყდა გამოწვევებს პლატფორმის მდგრადობისა და მოქალაქეების გადატვირთვის გამო. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, პლატფორმების სწრაფი ცვლა მოქალაქეებს შორის ქმნის გაურკვეველობას, თუ რომელი პლატფორმებია ამჟამად აქტიური, რაც იწვევს მონაწილეობის შემცირებას. გარდა ამისა, ხმის მიცემის ციფრული ფორმატი მართალია მოსახერხებელია თეორიულად, პრაქტიკაში მნიშვნელოვანი გამოწვევები ახლავს უსაფრთხოების სისტემების დეტალური შემოწმების გამო. შედეგად, ფიზიკური ხმის მიცემა უფრო წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ის იძლევა უშუალო ურთიერთობისა და ჩართვის საშუალებას, განსაკუთრებით გარიყული თემების შემთხვევაში (როგორცაა ქუჩებში მოქალაქეებთან შეხვედრა, გარკვეული ინიციატივების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათი წახალისება მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემაში).

⁹² ინტერვიუ კლემენ პენესთან, საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), პარიზის მერის ყოფილი მრჩეველი (ციფრული სტრატეგია და ღია მმართველობა), პარიზი, საფრანგეთი, 2024 წლის 26 მარტი.

⁹³“*მონაწილეობითი ბიუჯეტირება პარიზში, საფრანგეთში*,” Participedia, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

⁹⁴ ინტერვიუ კლემენ პენესთან, საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), პარიზის მერის ყოფილი მრჩეველი (ციფრული სტრატეგია და ღია მმართველობა), პარიზი, საფრანგეთი, 2024 წლის 26 მარტი.

⁹⁵ ინტერვიუ კლემენ პენესთან, საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), პარიზის მერის ყოფილი მრჩეველი (ციფრული სტრატეგია და ღია მმართველობა), პარიზი, საფრანგეთი, 2024 წლის 26 მარტი.

უფრო მეტიც, ექსპერტის აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა პარიზიდან, რომელიც შეიძლება სხვა კონტექსტში ადაპტირდეს, არის “მოხალისეები პარიზიდან”, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა მოხალისეების რეკრუტირებისთვის სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობებში ჩასართავად. ეს მოხალისეები ასრულებენ ელჩების როლს მოქალაქეთა ჩართულობისთვის და ხელს უწყობენ კავშირის დამყარებას მთავრობასა და იმ მოქალაქეებს შორის, რომლებსაც ისინი ემსახურებიან. ამ პლატფორმას სრულად მართავს ქალაქის ადმინისტრაცია.

სტრასბურგში, გარდა მონაწილეობის უფრო ტრადიციული ფორმებისა, როგორცაა მოქალაქეთა საბჭო, საუბნო საბჭო, ახალგაზრდული საბჭო და უცხოეთის რეზიდენტთა საბჭო, რომელიც ემსახურება უცხოელი მაცხოვრებლების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას და მათი პრობლემების მოგვარებას, *სამოქალაქო ჟიური* წარმოჩინდა, როგორც წარმატებული მექანიზმი. ეს პროცესი გულისხმობს მოქალაქეთა წარმომადგენლობითი ჯგუფის შერჩევას, რომელიც განიხილავს კონკრეტულ საკითხებს და აფასებს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა წლიური სამოხაო ბაზრობა, რომლის მიმართ მოქალაქეთა ინტერესი სტაბილურად იზრდება. ამგვარი მზარდი ინტერესი ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბაზრობის საკითხი საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, როგორც სტრასბურგის მერის მოადგილემ ხაზგასმით აღნიშნა, სტრასბურგში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ფორმად *მონაწილეობითი ბიუჯეტირება* იქცა მისი ხელმისაწვდომობისა და მარტივი პროცედურების წყალობით, რის გამოც პროცესში ჩასართავად მოქალაქეებს მინიმალური ახსნა-განმარტება სჭირდებათ.

სტრასბურგში მოქალაქეთა მონაწილეობით პროცესში ჩართვისას, ძირითადი გამოწვევები განპირობებულია დროის შეზღუდვით, გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო. გარდა ამისა, როგორც სტრასბურგის მერის მოადგილე აღნიშნავს, გამოწვევას წარმოადგენს ყველა მაცხოვრებლის ეფექტურად ინფორმირება მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ და სხვადასხვა პოპულაციისთვის მექანიზმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.⁹⁶ მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, მონაწილეობითი ინიციატივები, როგორცაა თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება (PB) და მოქალაქეთა ჟიური, ასახავს სტრასბურგის ერთგულებას მოქალაქეთა ჩართულობისა და დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების მიმართ. ძალისხმევას, რომელიც მიმართული იქნება ამ გამოწვევების გადაწყვეტასა და მონაწილეობის გაძლიერებაზე, შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს დემოკრატიის განმტკიცებასა და სტრასბურგში საზოგადო პასუხისმგებლობის შეგრძნების გაძლიერებაში.

პუატიეში, ქალაქში საფრანგეთის დასავლეთით, 2022 წელს ახალი მუნიციპალური საბჭოს არჩევიდან, მოქალაქეთა მონაწილეობა განიხილება, როგორც განივი მიდგომა. იგი მოიცავს სამ პრიორიტეტს:

⁹⁶ ინტერვიუ კაროლ ზიელინსკისთან, სტრასბურგის მერის მოადგილესთან ადგილობრივი დემოკრატიისა და ევროპის მოქალაქეობის საკითხებში, სტრასბურგი, საფრანგეთი, 2024 წლის 21 მარტი.

- გრანდ პუატიეს აგლომერაციისა და პუატიეს მუნიციპალიტეტის პროექტებისთვის მონაწილეობითი კულტურის განვითარება;
- დემოკრატიული ინოვაციების ექსპერიმენტირება, განსაკუთრებით პირდაპირი მონაწილეობით ან უფრო სტრუქტურირებული მეთოდოლოგიებით (როგორცაა განხილვა);
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის მაქსიმალურად განვითარება (ერთობლივი განვითარებისა და შეთანხმების გზით)

განივი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითი შემუშავდა სოციალურ-კულტურული ცენტრის კონტექსტში და ფოკუსირებულია იმ ახალგაზრდა მიგრანტების გაძლიერებაზე, რომლებსაც უსრულდებათ სოციალური სერვისებით სარგებლობის პერიოდი. ეს განხორციელდა პლატფორმის დანერგვით, სახელწოდებით "Pouvoir d'agir" (მოქმედების უფლება), რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, პოლიტიკის შემქმნელებამდე მიიტანონ ის პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან ინტეგრაციის პროცესში. პროცესი დაიწყო საპილოტე პროექტის სახით მკვლევარებთან და სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობით, შემდგომ კი განვითარდა საფრანგეთის სახელმწიფოსთან ოფიციალური კონტრაქტის გაფორმებით. ადგილობრივი განვითარების პოლიტიკის ფარგლებში, სახელმწიფომ უნდა გააფორმოს მუნიციპალიტეტთან ორწლიანი კონტრაქტი. პუატიეს შემთხვევაში იგი მოიცავდა ხუთ პრიორიტეტულ მიმართულებას, მათ შორის საცხოვრებელ და სპორტულ/კულტურულ აქტივობებს. ბოლო კონტრაქტში, პუატიემ მოახერხა მიგრანტების მონაწილეობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩაედო.

გარდა ამისა, მოქალაქეები ჩართულნი არიან ურბანულ დაგეგმარებაში სტრატეგიული მისიის შექმნით, რომელიც ხაზს უსვამს საკონსულტაციო პროექტების მნიშვნელობას გრანდ პუატიეს განვითარებისთვის. ეს მოიცავს პირდაპირი დემოკრატიის განხორციელებას საუბნო კომიტეტებისა და განვითარების საბჭოების მეშვეობით. ასევე არსებობს ინიციატივები კრებებისა და კონსულტაციების გზით მოქალაქეების ჩასართავად კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევაში და მობილობის გეგმებში როგორც ქალაქის, ისე რეგიონის დონეზე. აქცენტი ასევე კეთდება ახალგაზრდების ჩართულობასა და განათლებაზე, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების წახალისებაზე ისეთი ინიციატივების საშუალებით, როგორცაა ახალგაზრდული მუნიციპალური საბჭო, კოლაბორაციული პროექტები სკოლებთან და პროფესიული გადამზადების დაწესებულებებთან.

მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის მუდმივი მცდელობების მიუხედავად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მიერ დასახელდა რამდენიმე გამოწვევა და შეზღუდვა. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კანონის შეზღუდვას უკავშირდება. არსებობს გარკვეული ბუნდოვანება მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ჩართოს მოქალაქეები ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ეს ქმნის “ნაცრისფერ” ზონას, სადაც ცენტრალურ ხელისუფლებას, „პრეფეტის“ (სახელმწიფოს დეკონცენტრირებული ერთეულის ხელმძღვანელის) ჩარევით, აქვს შესაძლებლობა შეაფერხოს მოქალაქეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების

შესრულება. კიდევ ერთი სირთულე უკავშირდება მოწყვლადი მოსახლეობის ჩართვას, მიუხედავად სხვადასხვა მცდელობისა, როგორცაა კარდაკარ კამპანიები. რეალურად, დაკონტაქტებულ პირთა მხოლოდ ნახევარი იღებს მონაწილეობს. კიდევ ერთი გამოწვევაა მოქალაქეთა ნდობის ნაკლებობა მონაწილეობის ინიციატივების მიმართ. დაბოლოს, არსებობს შეზღუდვები მონაწილეობითი ბიუჯეტებისას, რადგან როგორც წესი პრიორიტეტად განისაზღვრება მომხმარებელზე ორიენტირებული ან უშუალოდ ინდივიდუალური ინტერესები.⁹⁷

ესპანეთი

საფრანგეთის გრძელვადიანი ვალდებულება უზრუნველყოს ადგილობრივ მმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობა ანალოგიურად აირეკლება ესპანეთის სწრაფვაში, თავის მოქალაქეებს მისცეს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა ცენტრალიზებული ციფრული პლატფორმების მეშვეობით.

ესპანეთში ადგილობრივი მმართველობის სამართლებრივი ბაზა ძირითადად განისაზღვრება ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციით და ადგილობრივი რეჟიმის შესახებ 1985 წლის კანონით (Ley Reguladora de las Bases del Régimen Local). ეს ფუნდამენტური დოკუმენტები ადგენს ადგილობრივი ადმინისტრაციის სტრუქტურას, პასუხისმგებლობებსა და ფუნქციებს და ხაზს უსვამს მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობას. გარდა ამისა, ესპანეთის დეცენტრალიზებული სისტემა, სადაც ავტონომიურ თემებს აქვთ საკუთარი უფლებამოსილებები და რეგულაციები, აძლიერებს მოქალაქეთა ჩართულობას ცალკეულ რეგიონში მოქმედი სპეციფიკური კანონებითა და რეგულაციებით.⁹⁸

ესპანეთში, განსაკუთრებით ბარსელონაში, გამოიყენება მოქალაქეთა მონაწილეობის რამდენიმე ძირითადი ფორმა, რომელთაგან თითოეული ხასიათდება წარმატების გარკვეული დონითა და გამოწვევებით. **უბნის საბჭოები და კრებები** - ქმნის პლატფორმას მოქალაქეებისთვის, გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ ბარსელონაში დიდი ტრადიცია აქვთ და ღრმად არიან დანერგილი ქალაქის პოლიტიკურ კულტურაში; **საჯარო კონსულტაციები და მოსმენები** - მოიცავს მოქალაქეებისგან უკუკავშირის მიღებას სხვადასხვა საკითხსა და პროექტზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი კლასიკური მეთოდებია, მათი როლი მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართვისთვის. **მონაწილეობითი ბიუჯეტირება და ციფრული მონაწილეობის პლატფორმები**. გარდა ამისა, სათათბირო პროცესები, როგორცაა **მოქალაქეთა ჟიური**, ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას

⁹⁷ ინტერვიუ ემანუელ რედინთან და ხალიდ რიმონთან, პუატიეს საქალაქო საბჭოს წარმომადგენლებთან, საფრანგეთი, 2024 წლის 22 მარტი.

⁹⁸ ესპანეთი: უფლებამოსილებების განაწილება, ევროპული რეგიონების კომიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

კომპლექსურ საკითხებზე, ახალისებს კონსენსუსსა და სამოქალაქო ჩართულობას. მუნიციპალიტეტებში მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინიციატივებმა გააძლიერა გამჭვირვალობა და რესურსების განაწილება თემის პრიორიტეტების შესაბამისად, რაც ასახავს მოქალაქეებზე ორიენტირებული, წარმატებული მმართველობის მოდელს.

ბარსელონას საკრებულოს წარმომადგენლის თქმით, მონაწილეობითი ბიუჯეტირების (PB) ინიციატივამ, რომელიც პირველად 2020 წელს დაინერგა, სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მოქალაქეებს შორის. ისინი ამჟამად 2024 წლისთვის მონაწილეობითი ბიუჯეტირების მეორე ვერსიის მომზადების პროცესში არიან. მისი მიზნობრივობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოქალაქეების თავიდანვე აქტიური ჩართულობაა. ამ პროცესში, მოქალაქეები არა მხოლოდ წარადგენენ პროექტებს, არამედ იცავენ და ხვეწენ მათ, რის შედეგადაც აქვთ ინიციატივებზე ჩართულობისა და კუნთვნილების შეგრძნება.⁹⁹ თუმცა, ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ PB შეიძლება იყოს უფრო ზედაპირული, ვიდრე ტრანსფორმაციული ხასიათის, ძირითადად ლიმიტირებული ბიუჯეტის გამო. ისინი ამტკიცებენ, რომ PB ფოკუსირებულია უფრო მცირე მასშტაბის პროექტებზე, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყნის მასშტაბით. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მონაწილეობითი დემოკრატიის საერთაშორისო ობსერვატორიის (IOPD) წარმომადგენელი.¹⁰⁰

ბარსელონაში მონაწილეობის სხვა მექანიზმები, როგორც ჩანს, ნაკლებ ინტერესს ან ნდობას იწვევს მოქალაქეებს შორის. ეს დიდწილად განპირობებულია ამ ინსტრუმენტების ინსტიტუციონალიზაციით და მოქალაქეების რეალური საზრუნავისგან შორს ყოფნის შეგრძნებით. PB-სგან განსხვავებით, სადაც მოქალაქეებს თავიდანვე აქვთ ჩართულობის შეგრძნება, ამ ალტერნატიულ მექანიზმებს ხშირად არ გააჩნია საზოგადოების ჩართულობისა და უფლებამოსილების იგივე დონე.¹⁰¹

სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა არის თანამშრომლობის მექანიზმი, რომელიც მოიცავს მმართველობის სხვადასხვა დონეს, მათ შორის საქალაქო, რეგიონულ და ეროვნულ დონეებს. ამ ჩარჩოს ფარგლებში, მოქალაქეები წარმოადგენენ წინადადებებს კანონმდებლობის შესახებ, რომლებსაც შემდგომ განიხილავენ და წყვეტენ შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოები. მონაწილეობის კიდევ ერთი ხელმისაწვდომი ფორმაა **მუნიციპალური სამოქმედო გეგმა**, რომელიც არის სტრატეგიული გეგმა, მორგებული ურბანულ განვითარებაზე. იგი ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას მონაწილეობითი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც რეგულარულად იკრიბებიან. გეგმა მუშავდება ყოველ სამ ან ოთხ წელიწადში ერთხელ, დემოკრატიული არჩევნების შემდეგ მოსული ახალი დმინისტრაციების მიერ, რაც უზრუნველყოფს ქალაქის განვითარების პრიორიტეტებსა და საჭიროებებთან შესაბამისობას.

⁹⁹ ინტერვიუ ტონი სანჩეს ჰერნანდესთან, დემოკრატიული ინიციატივების სერვისების დირექტორთან, ბარსელონა, ესპანეთი, 2024 წლის 4 მარტი.

¹⁰⁰ ინტერვიუ ადრია დუარტესთან, მონაწილეობითი დემოკრატიის საერთაშორისო ობსერვატორიის (IOPD) კოორდინატორთან, ესპანეთი, 5 მარტი, 2024 წ.

¹⁰¹ ინტერვიუ ტონი სანჩეს ჰერნანდესთან, დემოკრატიული ინიციატივების სერვისების დირექტორთან, ბარსელონა, ესპანეთი, 2024 წლის 4 მარტი

ესპანეთში ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა¹⁰² გამოავლინა მონაწილეობის რამდენიმე წარმატებული მექანიზმი, რომლებმაც ეფექტურად გაზარდეს მოქალაქეების შესაძლებლობები და გააძლიერეს ადგილობრივი მმართველობა. მაგალითად, ქალაქ ბარსელონაში დაინერგა ინოვაციური ციფრული პლატფორმები, როგორცაა Decidim Barcelona, რომელიც მოსახლეობას საშუალებას აძლევს ერთობლივად შექმნან პოლიტიკები, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ჩაერთონ დიალოგში ქალაქის ოფიციალურ პირებთან. Decidim უფასო, ღია მონაწილეობითი დემოკრატიის პლატფორმაა ქალაქებისა და ორგანიზაციებისთვის, მაგრამ ამავდროულად Decidim უფრო მეტია, ვიდრე ციფრული პლატფორმა. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასობით ან ათასობით პოტენციური მონაწილის ჩასართავად სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციის მიერ, როგორცაა საკრებულო, უნივერსიტეტი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია (მაგ., საუბნო ასოციაცია), პროფკავშირი ან კოოპერატივი. Decidim-ი უზრუნველყოფს სივრცეს მონაწილეობისთვის (ინიციატივები, კრებები, პროცესები ან კონსულტაციები) და ამდიდრებს მას მრავალფეროვანი კომპონენტებით (პირისპირ შეხვედრები, გამოკითხვები, წინადადებები, ხმის მიცემა, შედეგების შემდგომი მონიტორინგი, კომენტარები და მრავალი სხვა).

ბარსელონას საქალაქო საბჭომ 2016 წელს წამოიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეობითი პლატფორმის შექმნას მოქალაქეთა ჩართულობისთვის. Decidim-ი, ბარსელონას ციფრული დემოკრატიის პირველი ინსტრუმენტი, ხელს უწყობს მოქალაქეების ჩართვას მუნიციპალურ ბიუჯეტებში. თანამონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესი, რომელიც 2020 წელს დაინერგა, ტარდება Decidim-ის ონლაინ პლატფორმის მეშვეობით და მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გამოიყონ 75 მილიონ ევრომდე (მთლიანი ბიუჯეტის 5%) თანხა 2020 წლიდან 2023 წლამდე პერიოდისთვის. ამ ინიციატივას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბარსელონასთვის მისი, როგორც ტექნოლოგიური ჰაბის სტატუსის გამო, რასაც ადასტურებს მისი აღიარება მობილური კავშირის მსოფლიო დედაქალაქად და 2014 წლის ევროპის ინოვაციების დედაქალაქად. გარდა ამისა, ბარსელონას დემოკრატიული ინოვაციების (DI) სტრატეგია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დემოკრატიასა და ტექნოლოგიას, შეესაბამება მის, როგორც დემოკრატიის პირველი ევროპული დედაქალაქის სტატუსს.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა Decidim-ი - ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ბარსელონის საქალაქო საბჭოს გაზარდოს მოქალაქეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მან უზრუნველყო 400-ზე მეტი მუნიციპალიტეტის, ინსტიტუტის, ორგანიზაციის და ა.შ., მხარდაჭერა, რომლებიც დღეს იყენებენ Decidim-ს, როგორც მთავარ პლატფორმას კონსულტაციისთვის. ამ ციფრულმა ინსტრუმენტმა გაზარდა გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა ადგილობრივ მმართველობაში, რაც ნათლად წარმოაჩენს ტექნოლოგიის პოტენციალს მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხში.

¹⁰² ესტერ ჰარტაიმ, ემინა ნურედინოსკა, ბოგლარკა სხალმა; საზოგადოების მონაწილეობის მოდელების ახალი მოდელები ევროკავშირში ჩართულობის გასაძლიერებლად, 2023 წლის ნოემბერი, არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#).

როგორც ბარსელონას საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი აღნიშნავს, მონაწილეობის მექანიზმების ეფექტურობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის უკუკავშირის პრაქტიკის დანერგვაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობაზე და მოქალაქეთა მონაწილეობის შედეგად მიღებული გავლენის სიცხადზე. ჩართულობის შედეგად მიღებული ხელშესახები ცვლილებების დანახვა ძლიერ სტიმულს წარმოადგენს მოქალაქეებისთვის, რათა შემდგომშიც ჩაერთონ მონაწილეობით პროცესებში. ანალოგიურად, მოქალაქეებმა შესაძლოა განიცადონ მონაწილეობის შედეგად იმედგაცრუება, განსაკუთრებით, უარყოფითი გამოცდილების გამო, როგორცაა კორუფციის შემთხვევები ან შეუსრულებელი დაპირებები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გულგატეხილობა და შეამციროს მოქალაქეთა ჩართულობა. გარდა ამისა, შესაძლოა წარმოიშვას ეჭვები ზოგიერთი მექანიზმის შეზღუდულ წარმომადგენლობითობასთან დაკავშირებით, როგორცაა მოქალაქეთა კრებები, რადგან ისინი შესაძლოა სრულად არ ასახავდეს მოსახლეობის მრავალფეროვნებას. ეს აჩენს კითხვებს ინკლუზიურობის შესახებ. როდესაც მოქალაქეები აღიქვამენ, რომ მათ მონაწილეობას არ მოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები, ისინი შესაძლოა სრულად გაეთიშონ პროცესს.¹⁰³

დასკვნა

აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) რეგიონი, მისი ექვსი ქვეყნით, წარმოადგენს მმართველობის მექანიზმებისა და მოქალაქეთა მონაწილეობის მრავალფეროვან ლანდშაფტს. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის დაარსების შემდგომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მონაწილეობითი დემოკრატიისკენ მიმავალი გზა ჯერ კიდევ სავსეა გამოწვევებით. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, რომელიც მიღწეულ იქნა ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობისა და კანონმდებლობის მოდერნიზაციის კუთხით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში გვხვდება საერთო გამოწვევები, როგორცაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი დონე. უფრო მეტიც, ბელორუსიასა და აზერბაიჯანში შენარჩუნებული ცენტრალიზებული კონტროლი, რასაც თან ერთვის სახელმწიფო ადმინისტრაციის რეფორმების შეფერხება, კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ქვეყნებში მონაწილეობითი დემოკრატიის მხრივ არსებულ სურათს. მოქალაქეთა მონაწილეობის მარეგულირებელი მოძველებული საკანონმდებლო ჩარჩოები, ასევე არსებული ნორმები, რომელთა უმეტესობა 1991-1995 წლებში იქნა კანონმდებლობაში შეტანილი, ვერ უზრუნველყოფს ბელორუსაში თანამედროვე მიდგომებსა და საზოგადოების საჭიროებებთან შესაბამისობას. გარდა ამისა, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების ნაკლებობა, ადგილობრივ მთავრობებს

¹⁰³ ინტერვიუ ტონი სანჩეს ჰერნანდესთან და ადრია დუარტესთან, 4-5 მარტი, 2024.

მიანიჭოს რეალური უფლებამოსილება, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის საჭირო ფინანსების დეფიციტი კიდევ ერთ საერთო გამოწვევად რჩება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში.

საკანონმდებლო ჩარჩოსა და ისტორიულ კონტექსტში განსხვავებების არსებობის მიუხედავად, ევროკავშირის მასშტაბით გვხვდება საერთო გამოწვევები და წარმატებული მიდგომები, რომლებიც გვთავაზობს ღირებულ ინფორმაციას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართვის ეფექტური სტრატეგიების შესახებ. თუმცა, ადგილობრივ დონეზე მოქალაქეების აქტიური ჩართულობისა და ნდობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, არსებობს მუდმივი დაბრკოლებები, რომლებიც საჭიროებს მუდმივ ძალისხმევას.

გერმანიის მოქალაქეებს ხშირად უჭურთ ფედერალური, სახელმწიფო და ევროკავშირის კანონების რთულ ქსელში გარკვევა (სამართლებრივი შეზღუდვები), რაც იწვევს მათი პეტიციების უარყოფას და მზარდ იმედგაცრუებას. ამ პრობლემის მოგვარება მოითხოვს დაუყოვნებლივ მოქმედებას, როგორცაა მძლავრი პროაქტიული კამპანიები ცნობიერების ასამაღლებლად და მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ანალოგიურად, საფრანგეთში, ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევის მიუხედავად ხელი შეუწყოს ციფრულ ჩართულობას სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით, მოქალაქეებს უჭირთ არსებული რესურსების განვითარებაზე ფეხის აწყობა. ცნობიერების ამგვარმა ნაკლებობამ შესაძლოა გამოიწვიოს მოქალაქეების მოტივაციის შემცირება, რაც ხაზს უსვამს საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესების მნიშვნელობას და აქტიური პლატფორმების შესახებ მკაფიო მითითებების მიწოდების აუცილებლობას. კიდევ ერთი საერთო გამოწვევა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არის ინკლუზიურობის უზრუნველყოფა. ჭეშმარიტად ინკლუზიური მონაწილეობითი პროცესის უზრუნველყოფა მოითხოვს ძალისხმევას მრავალფეროვანი ჯგუფების, მათ შორის მოხუცების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და უცხოელი რეზიდენტების ჩასართავად.

კვლევამ გამოავლინა მოქალაქეთა მონაწილეობის რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც შეიძლება ადაპტირდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) სხვადასხვა კონტექსტში. ერთ-ერთი ამგვარი აღიარებული საუკეთესო პრაქტიკაა **მონაწილეობითი ბიუჯეტირება**, რომელიც ამლევს მოქალაქეებს უფლებას პირდაპირი გავლენა მოახდინონ სახელმწიფო სახსრების განაწილებაზე და ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. მონაწილეთა შორის თავიდანვე ჩართულობის შეგრძნების შექმნით, მონაწილეობითი ბიუჯეტირება წარმატების გარანტიას იძლევა. შედეგად, ევროკავშირის ქვეყნებში მოქალაქეთა ინიციატივების დასაფინანსებლად გამოყოფილი ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება.

გარდა ამისა, დაინერგა ინოვაციური ინიციატივები, როგორცაა **დიალოგის ტურები** და ქვეითთა მიერ დიაგნოსტიკა - **Good Move**, მოქალაქეების პირდაპირი ჩართვის, მათგან უკუკავშირის შეგროვებისა და ადგილობრივი საკითხების მოგვარების მიზნით. ეს ინიციატივები უზრუნველყოფს მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერების

ეფექტურად დაძლევას და ზრდის საზოგადოების როლს. გარდა ამისა, სხვა ცენტრალიზებულ ციფრულ პლატფორმებს, რომლებიც ბარსელონაში კარგად არის აპრობირებული, შეუძლია ხელი შეუწყოს და გაზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

პროაქტიული ღონისძიებები გადამწყვეტ როლს თამაშობს მოქალაქეებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს შორის განსხვავებების გადალახვაში. ეს ზომები აუცილებელია ცნობიერების ამაღლების, პროცედურების გამარტივებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას უწყვეტი ინოვაციების, თანამშრომლობისა და ადაპტაციის მნიშვნელობას, რათა გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ მმართველობაში. აღნიშნული ძალისხმევა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია დემოკრატიის გასაძლიერებლად და მოქალაქეთა შორის პროცესში ჩართულობისა და კუთვნილების შეგრძნების შესაქმნელად.

რეკომენდაციები

აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში არსებული მდგომარეობის განხილვა ცხადყოფს, რომ მხოლოდ პროგრესი არ არის საკმარისი. ჭეშმარიტი დემოკრატიული მმართველობისკენ სვლა მოითხოვს ურყევ ერთგულებასა და ერთობლივ ძალისხმევას. არსებითად მნიშვნელოვანია ძირეული მიზეზების აღმოფხვრა, რომლებიც დგას მოქალაქეთა შეზღუდული ჩართულობის, ძალაუფლების ცენტრალიზებული სტრუქტურისა და ფუნდამენტური თავისუფლებების შეზღუდვის უკან. სამომავლოდ, პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს მოქალაქეთა მონაწილეობისა და მმართველობის დეცენტრალიზაციის მექანიზმების გაძლიერება. ადგილობრივი დემოკრატიის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონს შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს უფრო ინკლუზიურ და მედეგ დემოკრატიულ მომავალს. ჭეშმარიტი პოტენციული ლოკალურ მიდგომებშია, სადაც ადგილობრივი დემოკრატია მოქალაქეებთან უფრო ახლოს დგას. ეს საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად იქნას მოსინჯული ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ინოვაციური ფორმები.

ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაძლიერება არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოში ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, ჭეშმარიტი დეცენტრალიზაციის მისაღწევად, აუცილებელია მდგრადი ძალისხმევა, რადგან ადგილობრივ მთავრობებს ამჟამად არ აქვთ სათანადო ავტონომია ცენტრალური ხელისუფლებისგან გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებშიც ნამდვილად ასახული იქნება მოსახლეობის საჭიროებები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კანონმდებლობა არის თანმიმდევრული და ასახავს ადგილობრივი მმართველობისა და მონაწილეობის კარგ პრაქტიკას, მისი

განხორციელება ხშირად არ ხდება სათანადოდ. შედეგად, მოქალაქეები რჩებიან იმედგაცრუებულნი და კარგავენ ნდობას პროცესისადმი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეფექტურად განახორციელოს თავისი უფლებამოსილება ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად.

მოქალაქეთა მონაწილეობის გასამდიდრებლად, აუცილებელია პრიორიტეტად განისაზღვროს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ დონეზე მონაწილეობის არსებული და ალტერნატიული საშუალებების შესახებ. ეს მოითხოვს ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივ ძალისხმევას.

მოქალაქეთა მონაწილეობის ალტერნატიული ფორმების გამოყენების მხრივ მიღწეულ პროგრესს თუ დავეყრდნობით, რაც, მაგალითად, შეინიშნება წყალტუბოსა და ხონის მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა უკუკავშირის ციფრული პლატფორმების დანერგვითა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭოს შექმნით, უმნიშვნელოვანესია მონაწილეობის ახალი მეთოდების ძიების გაგრძელება. ამ ვალდებულებას ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონიც და მიზნად ისახავს მონაწილეობის მიდგომების ადაპტირებას, რათა უკეთ მოხდეს ადგილობრივ გარემოებებზე მორგება და მოქალაქეების უნიკალური საჭიროებების დაკმაყოფილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

პირველადი წყაროები: ინტერვიუები

- ადრია დუარტე, მონაწილეობითი დემოკრატიის საერთაშორისო ობსერვატორიის (IOPD) კოორდინატორი, ბარსელონა, ესპანეთი, 2024 წლის 5 მარტი;
- არნო პინქსტერენი, მერისა და მრჩეველთა საბჭო, მცირეწლოვანი ბავშვების, მოქალაქეთა მონაწილეობისა და ურბანული განვითარების მრჩეველი, ბრიუსელი, ბელგია, 2024 წლის 21 მარტი;
- კაროლ ზიელინსკი, სტრასბურგის მერის მოადგილე ადგილობრივი დემოკრატიისა და ევროპის მოქალაქეობის საკითხებში, სტრასბურგი, საფრანგეთი, 2024 წლის 21 მარტი;
- კლემენს პენე, საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), პარიზის მერის ყოფილი მრჩეველი (ციფრული სტრატეგია და ღია მმართველობა), პარიზი, საფრანგეთი, 2024 წლის 26 მარტი;
- ემანუელ რედიენი და ხალიდ რიმონი, პუატიეს საქალაქო საბჭოს წარმომადგენლები, პუატიე, საფრანგეთი, 2024 წლის 22 მარტი;
- ჰანს გ. ობერლაკი, გლიენიკის მერი, გერმანია, 2024 წლის 4 მარტი;
- ჰენდრიკ დეტმერსი, საბჭოს კომიტეტი - მოქალაქეთა მონაწილეობა, ობერჰაუზენი, გერმანია, 2024 წლის 21 მარტი;
- ლუსინე ალექსანდრიანი, სომხეთის ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო, 2024 წლის 21 თებერვალი;
- მიროსლავ კობასა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ლევ საპიეჰას ფონდის“ გამგეობის თავმჯდომარე, ექსპერტი ადგილობრივი ხელისუფლებისა და თვითმმართველობის სკითხვებში, 2024 წლის 10 მარტი;
- მიხალ დულაკი, ადგილობრივი მმართველობის - სისტემური და საჯარო პოლიტიკის ექსპერტი, იაგელონის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი. 2024 წლის 27 მარტი;
- მარი-შარლოტა ჰელდენბერგი, მოქალაქეთა მონაწილეობის ოფიცერი, ეტერბეკი, ბრიუსელი, ბელგია, 2024 წლის 7 მარტი;
- ნათია აფხაზავა, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, საქართველო, 2024 წლის 2 თებერვალი;
- ტონი სანჩეს ჰერნანდესი, ბარსელონას საქალაქო საბჭოს დემოკრატიული ინოვაციების სერვისების დირექტორი, ბარსელონა, ესპანეთი, 2024 წლის 4 მარტი.

მეორადი წყაროები:

- ბარტოლეთი რ., ფაჩიოლი ფ., „საზოგადოებრივი ჩართულობა, ადგილობრივი პოლიტიკა და მოქალაქეთა მონაწილეობა: სამოქალაქო თანამშრომლობის იტალიური ქეისი“, 2016 წლის 14 სექტემბერი, ჟურნალი “Sage”, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

- როდ დაკომბი და ფილ პარვინი, „მონაწილეობითი დემოკრატია და წარმომადგენლობა უთანასწორობის ეპოქაში“, 2021 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
- ერჩან ჩეთინთურკი, ვ., ალპეი გუნლი, ვ., „საუბნო საბჭოები, როგორც ადგილობრივი მონაწილეობის პრაქტიკა: საფრანგეთის ქეისი“, ჟურნალის სათაური 6, No. 2 (2023), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- ფეანდერიო ა., გრიგსი ს. და ჰოვარტი დ., „ნანტი და კოლაბორაციული მმართველობა: მონაწილეობა - ეს ჩვენს დნმ-შია“, 2017 წლის 26 აპრილი, ურბანული კვლევის ცენტრი, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.
- ლარიბიანი ა., „ანგარიში ვალდებულებების შესახებ - ღია, გამჭვირვალე და მონაწილეობითი საჯარო დისკუსიების ორგანიზება და განხორციელება“, ღია მმართველობის პარტნიორობა, 2024 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.
- გრიგსი ს., ჰოვარტი დ. და ფეანდერიო ა., „კოლაბორაციული მმართველობის ლოგიკა და საზღვრები ნანტში: მითი, იდეოლოგია და ახალი ურბანული რეჟიმის პოლიტიკა“, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
- ჰარტი ე., ნურედინოსკა ე., სხალმა ბ., „საზოგადოების მონაწილეობის მოდელების ახალი მოდელები ევროკავშირში ჩართულობის გასაძლიერებლად“, 2023 წლის ნოემბერი, არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
- ხაიამ ჯ. ისმაილოვი, „ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირება და ევოლუცია აზერბაიჯანში და თანამედროვე ადგილობრივი თვითმმართველობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (სამართლებრივი რეგულირების საკითხები)“, ტომი 21, გამოცემა 3, 2018, ჟურნალი იურიდიული, ეთიკური და სარეგულაციო საკითხების შესახებ, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
- ივაშკუ რ., კოვრიგი ნ., ბუზუ ა., კანტარჟი ვ., „სოციალური ერთიანობა მოლდოვის რესპუბლიკაში 2020,“ დეკემბერი 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
- ივაშკუ რ., კოვრიგი ნ., ბარტინეშკუ ვ., „სოციალური ერთიანობა მოლდოვის რესპუბლიკაში 2021,“ ნოემბერი 2021, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
- კობასა მ., „ბელორუსში ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში: სტატუსი, გამოცდილება და პერსპექტივები“, „ლევ საპიჰას ფონდი“, მაისი, 2020 წელი, მინსკი
- მნაცკანიანი ა., ფელდერი ფ. და კეილი ს., „დეცენტრალიზაცია სომხეთში: ადგილობრივი მმართველობის რეფორმა და ფუნქციური დეცენტრალიზაციის საჭიროება,“ 2023 წ., ფედერალიზმის 50 ელფერი, ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე.
- მამედოვი ს., „საზოგადოების მონაწილეობა, კანონმდებლობა და მისი გამოყენების პრაქტიკა - მონიტორინგის ანგარიში“, 2017, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
- პირვანი ვ., „მოლდოვის ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობა 2019 წელს“, განვითარებისა და სოციალური ინიციატივების ინსტიტუტი (IDIS), ეკონომიკური და სოციალური რეფორმების ინსტიტუტი (INEKO), სლოვაკეთის

რესპუბლიკის განვითარების ოფიციალური მხარდაჭერა, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#).

- პიეტროლეტი ჯ., *“მონაწილეობითი მმართველობიდან სამოქალაქო კოლაბორაციამდე ურბანულ თემებში: რომის მუნიციპალიტეტიდან ქეისი შესწავლა”*, Studia Regionalia: პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, სივრცითი ეკონომიკისა და რეგიონული დაგეგმვის კომიტეტი და ევროპის რეგიონული სამეცნიერო ასოციაცია (ERSA). პოლონეთის შესახებ სექცია 52 (2017), ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#).
- სულთანნიშვილი თ., ფანჩულიძე., *„სათათბირო დემოკრატიის ნაკლოვანებები სოფლად საქართველოში: მესტიის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ანალიზი, 2020 წელი თბილისი“*, 2020 წელი, PMC კვლევითი ცენტრი, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).
- ტერტერიანი ვ., *„ტერიტორიული და ადმინისტრაციული რეფორმა სომხეთში (2015-2018): პროცესი, შუალედური შედეგები და პერსპექტივები“*; სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მართვისა და განვითარების სამინისტრო, 2017 წლის 5 მაისი, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#)
- ოლექსიუკი ტ., *“საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უკრაინაში: მიღწევები და გამოწვევები კანონის მიღებიდან დღემდე”*, გაეროს განვითარების პროგრამა, უკრაინა 2023
- იანგსი რ., *„სამოქალაქო მონაწილეობასა და მენისტრიმ პოლიტიკას შორის სიცარიელის აღმოფხვრა“*, 2022 წლის 8 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#).
- იან ვან დამი, ვინსენტ ჟაკე, ნატალი შიფინო და მინ როუმამსი, *“საჯარო კონსულტაცია და მონაწილეობა ბელგიაში: მოქალაქეების პირდაპირი ჩართვა საარჩევნო ყუთის მიღმა?”* ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#).
- სომხეთი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).
- აზერბაიჯანი, ევროპის რეგიონთა კომიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- *“აზერბაიჯანს უვადოდ შეუჩერდა ღია მმართველობის პარტნიორობის წევრობა”*, 2023 წლის 17 აგვისტო, ღია მმართველობის პარტნიორობა, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#).
- ბელორუსია, ევროპულ რეგიონთა კომიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- ბელგია, უფლებამოსილების განაწილება, რეგიონების კომიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- კიშინიოვის სამოქალაქო ბიუჯეტი, კიშინიოვის მერია, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- ქვეყნის ანგარიში, 2023, ფრიდამ ჰაუსი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- *„მოქალაქეების მონაწილეობა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ევროპაში“*, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, 2011 წლის 21 სექტემბერი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#);

- “დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025,” საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხელმისაწვდომი შემდეგ [ბმულზე](#).
- „მოქალაქეების მონაწილეობის გაძლიერება ევროკავშირში“, 2020 წლის თებერვალი, საერთაშორისო ევროპული მოძრაობა, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- EUR-Lex, “აღმოსავლეთ პარტნიორობა,” ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- “საქართველო ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმის რატიფიცირებას ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში მონაწილეობის უფლების შესახებ”, 2019 წელი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- გერმანია, ევროპული რეგიონების კომიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- “სახელმძღვანელო ადგილობრივი ღია მმართველობისა და საჯარო ეთიკის შესახებ”, უკრაინა, 2021 წ., ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- სომხეთის რესპუბლიკის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, 2013 წლის 22 ნოემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- “ადგილობრივი თვითმმართველობა აზერბაიჯანში: შეინიშნება მცირე გაუმჯობესება, შეზღუდული უფლებამოსილებები და მუნიციპალიტეტების სუსტი ფინანსური მდგომარეობა საჭიროებს სწრაფ გადაწყვეტას“, 2021 წელი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- “ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია პოლონეთში”, 2019 წლის 2 აპრილი, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- “ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია იტალიაში”, 2017 წლის 18 ოქტომბერი, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია საფრანგეთში, 2016 წლის 22 მარტი, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- “ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის გამოყენების მონიტორინგი სომხეთში”, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, 2020 წლის 12 თებერვალი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- “მეთოდური რეკომენდაციები ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების შესახებ”, ბრძანება N. 94, ფინანსთა სამინისტრო, უკრაინა, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- “ერები გარდამავალ პერიოდში 2023 - აზერბაიჯანი”, ფრიდამ ჰაუსი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- “ნანტი 2019 წლის ინოვაციების ევროპული დედაქალაქია”, 2019 წლის 25 სექტემბერი, ევროკომისია, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);
- საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, ხელმისაწვდომია შემდეგ [ბმულზე](#);

- “ღია ბიუჯეტის კვლევა 2021, უკრაინის შეჯამება”, 2021 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- “მონაწილეობითი დემოკრატია უნდა გაგრძელდეს კრიზისის ამ მომენტში“, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირება პარიზში, საფრანგეთი, Participedia, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- კანონის უზენაესობის ინდექსი 2023, მოლდოვა, მსოფლიო სამართლიანობის პროექტი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- “სმარტ რეგიონი,” ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- ესპანეთი: უფლებამოსილებების გამიჯვნა, ევროპული რეგიონების კომიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- ევროკავშირის შესახებ შეთანხმება (TEU), მუხლი 10(3), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- მოლდოვის რესპუბლიკის მთავრობა, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- უკრაინა, უკრაინის კონსტიტუცია, კიევი: უკრაინის უმაღლესი რადა, 1996, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- “უკრაინის 2023 წლის ანგარიში” SWD (2023) 699, 2023, ევროპის კომისია, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- უკრაინა, უკრაინის კონსტიტუცია, კიევი: უკრაინის უმაღლესი რადა, 1996, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- “ვინჩენცას ქალაქის საბჭოს სიახლეები”, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე;
- “ვებგვერდი და ჩეთბოტი ადგილობრივი თემებისთვის“, ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტრო, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.